

საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

21 036060 2024წ. №10 (4088) გამომცემის 93-მ წელი ვასო 2 ლარი

ჩემი სამშობლო ჰქვია!



ჩემი სამშობლო ჰქვია ამ მხარეს, სადაც სუფევდა ღვთის იდილია, სადაც ესროლეს დაუფიქრებლად შუბლში ტყვია და მოჰკლეს ილია! ჩემი სამშობლო ჰქვია ამ მხარეს, ერთ დროს მუშათა ნამდვილ სავანეს, სადაც დახვრიტეს ტიციანი და სადაც უღმერთოდ ჩაფლეს სამარეს! ჩემი სამშობლო ჰქვია ამ მხარეს, სადაც ურყევმა რწმენამ იომა, სადაც სიცოცხლეს უთხრა უარი დიდმა მგოსანმა გალაკტიონმა! ჩემი სამშობლო ჰქვია ამ მხარეს, სადაც სწამებენ პოეტს ცრუ ცოდვებს, თვითმკვლელობამდე მიჰყავთ მერე და ვითომ გლოვობენ ასე უცოდველს!... ჩემი სამშობლო ჰქვია ამ მხარეს, სადაც სუფრასთან ივსება თასი, სადღეგრძელოში ჰყვარობენ მამულს, სადაც არაფერს არა აქვს ფასი! ჩემი სამშობლო ჰქვია ამ მხარეს, სადაც ჭკვიანი აზრებს ვერ ავლენს, სადაც უცხონი ურცხვად ძღვებიან, სადაც საკუთარს შიმშილით ჰკლავენ! ჩემი სამშობლო ჰქვია ამ მხარეს, სადაც ფასობენ ჭინჭით, ქონებით, სადაც სიძულვილს უდგამენ ძეგლს და სადაც სიყვარულს ჰკლავენ ქორებით! ჩემი სამშობლო ჰქვია ამ მხარეს, მისი სიტყურფით გადაფითრება, სადაც ერთგულებს მკლავებს ჭრიან და სადაც ღალატი ჯილდოდ ითვლება! ჰოდა, ნუ გიკვირთ, თუ დღეში ასჯერ, სიცოცხლეს ვუთხრა მკაცრი უარი, ერთხელ მომკალი, მამულო, გვედრებ, ერთხელ სიკვდილი შეება თუ არის!

მიომზა ცანავა

„ხმა კველთაქველი ხელნაწერის“



ძველი ნათქვამია, წიგნებს თავიანთი ბედი აქვთო. ხელნაწერებსაც აქვთ თავიანთი ბედი. თანაც არ იწვიან. დიახ, ხელნაწერი არ იწვის, მაგრამ... იყიდება. ორი კვირის წინ „კრისტის“ აუქციონზე იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი ტექსტი მილიონ გირვანქა სტერლინგად შეიძინა და საქართველოს გადასცა ბიძინა ივანიშვილმა. საზოგადოდ, შეიძლება ითქვას, რომ სასიხარულო, ემოციური, გულისამაჩუყებელი ფაქტია. და გვახსენდება გალაკტიონის ლექსი:

თორიან, როგორც მზის
ანარეკლები,
ძველი ქართული ენის ძეგლები,
გულდამშვიდების
თუ აძგერების
ხმა ძველთაძველი
ხელნაწერების.

ამ მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ გვესაუბრება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი, ქალბატონი ნესტან ჩხიკვაძე.

– ქალბატონო ნესტან, მართლაც დიდი სჯაბასის თემად იქცა იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის საქართველოში ჩამოტანის ამბავი. რაღა აღარ ითქვა, რაღა აღარ დაინერა. მართლაც, საინტერესოა, რა ხელნაწერია, რომელი კოლექციიდან არის და რა ღირებულება აქვს ჩვენი ფილოლოგიური მეცნიერებისთვის?

– თქვენი კითხვა რამდენიმე საკითხს მოიცავს და, იმედია, თუ პასუხი გამიგრძელდა, მკითხველები არ „გამირისხდებიან“. ხელნაწერის რაობის განსაზღვრა ამ ეტაპზე, ვიდრე არ გვექნება საშუალება მთლიანი ხელნაწერის შესწავლისა, ძნელია, მაგრამ არც შეუძლებელი არ არის. იმ ფოტო-

▶▶ გაგრძელება 80-3-4 გვ.

უოუია

ალექსანდრე ჩხაიძე – 100



ბათუმში გავიცანი, რაღა თქმა უნდა. მანამდეც და მერეც მეგონა, რომ ბათუმში მისი პირით ლაპარაკობდა. თვითონ გაგვეცნო რამდენიმე მეგობარს. მოვიდა და გვითხრა, უფრო სწორად, თქვა, ალექსანდრე ჩხაიძე ვარ, ეს არის ჩემი სახელი და გვარი, მაგრამ ყველა შოშიას მეძახის და თქვენც ასე დამიძახეთო.

შოშია. როგორი ნაცნობი, შინაურული სახელი იყო, შინაარსიანი, დამინტერესებელი, სიცოცხლით სავსე. არა, ის ბათუმის კოლორიტი არ იყო. უფრო მეტი იყო იმდენად, რამდენადაც აქაურობის სულს გამოხატავდა, აქაურების სულიკვეთებას, ადამიანურ არსს, ხასიათს, მისწრაფებებსა და იდეებს იკრებდა თავის თავში.

ინტელექტი ჩანდა მის ქცევაში, სიტყვაში, გამოხედვაში. ინტელექტი როგორც არა მარტო ჭკუა-გონება და განათლება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, გული, გახსნილი, მართალი გული – ადამიანურობის ნიშანი.

თხემით ტერფამდე ზღვისპირელი იყო, მაგრამ მთლიანი ქართველის ემბლემად გამოდგებოდა...

დაიბადა 1924 წლის 28 თებერვალს. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, სწავლა შეწყვიტა და ფრონტზე წავიდა. 1954 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. თუმცა ერთი დღეც არ უმუშავია იურისტად. წერა იყო მისი სტიქია. თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან, მუშაობდა აჭარის რადიოში, იყო ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ ლიტმუშაკი. ბოლოს მანაც თეატრი აირჩია – ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგეობა და საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის აჭარის განყოფილების ხელმძღვანელობა.

მრავალი მოთხრობისა და პიესის ავტორი იყო, მაგრამ „ხიდი“ მთავარი გამოდგა. ეს პიესა ხმაურით იდგმებოდა

საქართველოსა და საზღვარგარეთის სცენებზე. ლოზუნგების ყალბ იდეოლოგიას ამხელდა ქვეყანაში, სადაც სიმართლე კანონგარეშედ იყო გამოცხადებული. „ადამიანმა უნდა დაინახოს კანონიერება არა ლოზუნგებზე, არამედ ცხოვრებაში“. – ერთ-ერთი პერსონაჟის ეს სიტყვები მაშინ ბევრს ნიშნავდა მიძინებული ქვეყნისთვის. დღეს შესაძლოა უცნაურად გვეჩვენებოდეს ის, რომ ასეთი მძაფრი შინაარსის პიესებით ოფიციალური უფრო სარგებლობდა, ვიდრე საზოგადოება.

თავის უკანასკნელ წიგნში „ჩემი წილი წუთისოფელი“ ალექსანდრე ჩხაიძე წერდა: „რაც მახსოვს, ყოველთვის ვიღაც ჩემი სახელით ნარმოთქვამდა სიტყვას, ჩემი სახელით ესალმებოდა პარტიულ პლენუმებს, კონფერენციას, ყრილობას! ჩემი სახელით ეფიცებოდა ერთგულებას რომელიმე უღლეურ ხელმძღვანელს, ჩემი სახელით იძლეოდა პირობას, გამოხატავდა მზადყოფნას, აღტაცებას... მე რაღაცის ნაწილი ვიყავი, უსახო ნაწილი, რომელიც უერთდებოდა საერთო აზრს, მაშინაც კი, როცა ამ აზრს ვენიშნავდით“.

ასე რომ ეფიქრა, ასე რომ შესძლებოდა, ასე რომ გაეხსნა ფრჩხილები ჩვენი კულტურის მოღვაწეთა დიდ ნაწილს, დღეს არ გვექნებოდა სიმართლის, პატიოსნების, პასუხისმგებლობის დეფიციტი.

ალექსანდრე ჩხაიძემ ეს შეძლო. შეძლო ის, რასაც სინდისი ავალებდა.

ნივანე ამირხანაშვილი


<p>ისევ იოანე-ზოსიმე</p>  <p>ვაჰტა ნაცვლიშვილი</p> <p>83.6</p>	<p>მე და ელვის პრესლი</p>  <p>ნინო ღარბაიძე-სტრონი</p> <p>83.8</p>	<p>საბავშვო ლექსები</p>  <p>ნათია ღაზინია</p> <p>83.10</p>	<p>დიონისური ლტოლვა</p>  <p>რაიმონ ჭიქია</p> <p>83.11</p>	<p>თურქოლოგია საქართველოში</p>  <p>გურამ ხოშთავა</p> <p>83.15-16</p>
---	---	--	--	---

იოანე-ზოსიმესი და სხვათა

ნეტა ვიცოდეთ, რა საიდუმლო გულისხმობდა იოანე-ზოსიმე?

მარტინ შიონის და მისი კოლექცია 2024 წლის 12 ივნისს მთელი საქართველოს სა...

ცენტრში კრალის ანტიკვარული ნივნის მალაზიას ვესტუმრე. შევედი და, თითქოს...



ლიბროკუბიკულარის მონაწილეობა

პაატა ნასვლიშვილი

ორიგინალი ბატონმა კრალსმა წლების წინ კონგრესის ბიბლიოთეკას აჩუქა. რამე...

იქნება თუ ხვალ, ჩემი ფიქრით, სწორედ აქ დაიდებს ბინას, მაგრამ მთავარია, რომ...

ბოლოს, ჩვენდა იბლადა, დაილალა და გამოვიცხადა ის, რაზეც ვოცნებობდი: - მე თუ ალარ გჭირდებათ...

ახალა გავიგე, ისევე გულდადიან, რომ კრალსი ერთადერთი წიგნი მოვაჭრე იყო მსოფლიოში...

ჩვენ შორის ასეთი დალოცვა გაიმართა: - ბატონო კრალს! ხელნაწერის ნახვა თუ შეიძლება?

ამერიკიდან ჩამოსული კი რამდენიმე დღეში რეზო თაბუკაშვილს ვენციე. კარი ლაშამ გამიღო და შენი მეგობარი იმ თაბუკაშვილი...

ამერიკიდან ჩამოსული კი რამდენიმე დღეში რეზო თაბუკაშვილს ვენციე. კარი ლაშამ გამიღო და შენი მეგობარი იმ თაბუკაშვილი...

ამერიკიდან ჩამოსული კი რამდენიმე დღეში რეზო თაბუკაშვილს ვენციე. კარი ლაშამ გამიღო და შენი მეგობარი იმ თაბუკაშვილი...

ამერიკიდან ჩამოსული კი რამდენიმე დღეში რეზო თაბუკაშვილს ვენციე. კარი ლაშამ გამიღო და შენი მეგობარი იმ თაბუკაშვილი...

1988 წელს მეორედ ვიყავი ამერიკაში. გამოვიხატე დრო და ნიუ-იორკში, მანჰეტენის ცენტრში...

1988 წელს მეორედ ვიყავი ამერიკაში. გამოვიხატე დრო და ნიუ-იორკში, მანჰეტენის ცენტრში...

1988 წელს მეორედ ვიყავი ამერიკაში. გამოვიხატე დრო და ნიუ-იორკში, მანჰეტენის ცენტრში...



მიოზა სანავა

როგორც ვანი ვაქანახელი

შეგარბევს, როგორც ზაფხულის სიო,
 შენ უნდა შეძლო შეუძლებელი,
 სევდის ფუტკარი არ დაისიო!...
 თმენის კედელი შენივე რწმენით,
 შენივე ძალით უნდა აშენო,
 მწვერვალი უკვე დაპყრობილია,
 გაკვალულია გზები საშენო!...
 ვიგონებ ნამებს – ბელურა ჩიტებს,
 იმედის საკენკს ვუყრი დალილი
 და მეგობრობის გულმართალ მტრედებს
 ხელებს გაფუნვდი თვალბედახრილი.
 ფიქრთა უსაზღვრო ოკეანეში
 ჯერ რწმენის გემი არ ჩაძირულა,
 გიყავარჯნებენ შენი ლექსები,
 ტკივილის ტვირთი ზიდე გმირულად!
 დაწყებულია ფოთოლცვენა და
 ჩუმი სიყვითლე სულამდე ატანს,
 ჩაილინებ ოდოიას და...
 ნატვრის ბარათებს თეთრ მტრედებს ატან!..
 ყმანვილქალობის იმ ნეტარ ნამებს
 დრო შეგახსენებს მორჩილს, ხან ურჩებს,
 ალბათ ატყვია ნაფხუხურები
 ოდაბადეში მშობლიურ ქუჩებს!...
 სადაც ყველაფერს სულ სხვა ეშხი აქვს,
 სხვა საბუდარი ვეღარც მოიგე
 და როგორც ელვა, ისე დაგმუხტავს,
 სუნთქვას შეგიკრავს სიტყვა „თოლიგე“.
 მე ჩემებურად მოგეფერები,
 გულს ჩარჩენილო დღეო, ნათელო,
 ჰო, გეამება შვილისგან ლოცვა,
 „გოლუაფირო“, „სქანი სანთელო!“

ფრთხილი ნათესავები

ნუხელ მესიზმრა, გარდავიცვალე,
 მწვანე ბალდახინს რთავდენ ვარდებით,
 შავ საქონილო კაბას მიქსოვდენ,
 მკანრავ-მქანცავი ეკალ-ბარდები!
 სიკვდილის მერეც სიკვდილს ვნატრობდი,
 ტანჯვის გორები სუსტ მხრებზე მანვა,
 და მწუხარება, წვიმის წვეთივით,
 ცრემლად ეკიდა მარაო წამნამს!...
 ტკივილის ზარი მაზანზარებდა,
 საკუთარ სხეულს ვჭირისუფლობდი,
 გაყრილი იყო სული სხეულთან
 და მაინც ვგრძობდი, მწირი სულს ვფლობდი!..
 ჩემს მოთმინებას ცდიდა სატანა
 და დაფლეთილ სულს შანთით შანთავდა,
 ბედის იდუმალ მრგვალ გორგოლაჭზე
 გზადაგზა დღეებს უხმოდ ართავდა...
 ციდან ტკარცალი მომესმა უცებ,
 დარაზმულიყვენ ანგელოზები,
 ხელში ეჭირათ ბედნიერების
 თასი – თილისმის ზღვა მიმოხებით..
 სულ სათითაოდ შემომაცალეს
 ეკალ-ბარდები სათნო ხელებით,
 მერე კი ფრთები შემომაშველეს,
 წამომაცენეს ფერებ-ფერებით.
 მზისფერ ყვავილთა კონით მომირთეს,
 ის საცალფეხო ვინრო ბილიკი,
 ხელის აქნევით წამში გააქრეს
 ავი დემონი ქილიკ-ქილიკით!..
 ხელში მეჭირა მზე ხარისთვალა,
 ახალისებდა სახეს ხურებით
 და ივსებოდა იმედის სხივით
 ეს ჩემი ფრთხილი ნათესავები!

სიყვითლე თყუარნი...

ტკივილის ლოდი დაგვეო გულზე,
 შეცივებულ თითებს ითბობ წარსულთან,
 წლები აკინძულ დღეებს გახსენებს,
 დღეებს, რომელიც უმალ გასულა..
 ალბათ ქარებთან ჭიდილში ახლა
 დალილი მხრები ტვირთივით დაგაქვს,
 მოსაგონარი, ნასათუთარი,
 გულის უბეში რამდენი რამ გაქვს.
 და ღმუის, როგორც დაჭრილი ღმობი,
 მწარე ჭრილობა თვალის გუგებში
 და როგორც განძი გადანახული,
 წარსული გიდეგს გულის უბეში.
 ის საამური, ნათელი ჟამი

შენი ცრფობის ბრძოლის...

მოვითებ ჩემი ეჭვის ბალახი,და მოვაშორე შმორი, ტალახი,
 იმ დიდი ტაძრის ლამაზ საუფლოს,სადაც მე და შენ დაიწერეთ ჯვარი ორთავემ,
 სადაც რწმენის და ერთგულების სათნო დობილი გაგვესაუბრა...
 ყელს მოვაშორე ტკივილის თოკი, სახრჩობელას რომ ეძახიან
 და დავიკვნესე ისე ძლიერად, სულის შემძვრელად, ღვარად ვადინე
 ცრემლები ლექსებს, ჩემს ტანჯულ სულში მშფოთვარე ტალღებს
 თავი მივანდე, გაგესაუბრე, შენ ჩემთვის იყავ ყველაფერი,
 შენ კი რატომღაც ვეღარ გაუგე ჩემს გულისთქმას და გამწირე ისე,
 ვით ქუჩის ძალი მანანალა, გული მატკინე, შენთვის ვახარე იასამნები,
 ამოგიკოცნე სველი თვალეები, შენ არ დამინდე, ისე მატირე,
 ისე უღმერთოდ შემომაფხრინე უერთგულესი თეთრი სამოსი,
 მე არ დავეცი, კიდეც გაუძელე მწარე გამოცდას,
 არ დაიჯერო, რომ ჩავეჭრები, რადგან სინმინდე, ვით მოქათქათე მარგალიტი
 მემამბორება, მე უშენობამ ამირია სალი გონება, მეტკივილები, დამეჭიმა ყოველი ნერვი,
 ვცახცახებ, როგორც ტირიფის ტოტი, არ გებრალევა ნაფერები თბილი დღეები?!
 მე შენ მიყვარხარ, გეძახი, მოდი! მოდი, ჩამიკარ გულის უბეში,
 ვით საკუთარი სულის ნაწილი, ნუ მეტყვი უარს,
 შენ ჩემი გრძობის სიძლიერე არ მოგასვენებს ამ ქვეყანაზე,
 სამართალი და ღმერთი თუ არს!მოდი, ტკივილის სარეცელზე მომწყინდა წოლა,
 მოთვინიერდი, დაამსხვრიე მძიმე გალია, სულს რომ მიხუთავს და მანოიკებს,
 ეს მხოლოდ შენი ტრფობის ბრალია!

რას. ჩემო მათქმალის!..

რას, ჩემო მათქმალის, რად შეწყვიტე გალობა,
 ჩავლილია ვაი-ვივით ჩემი ყმანვილქალობა!
 ერთხელ კიდეც დამიმღერე ის კოლხური ნანინა,
 ჩემმა ცრემლმა, მწუხარებამ გული ხომ არ გატკინა.
 არ გამოცხვა ობლის კვერი, ჩემთვის შენც არ გცალია,
 მშობლიურო, მიექიმე, კეთილო მათქმალა.
 გულს ცეცხლი მომდებია, შემეშველე ალიანს,
 შენ ხარ ჩემი გულისცემა, ერთგულო მათქმალის!
 მაღლი ჰქენი, მანუგეშე, არ შეწყვიტო გალობა,
 ჩავლილია ვაი-ვივით, ჩემი ყმანვილქალობა!

სიყვითლე თყუარნი...

არა, თანაზიარს ვერვის ვხედავ, სულში სისველეა იასამნის,
 როგორ შევიჩვე ჩუმი სევდა, თავი ჩამოვიხრჩო ლექსზე ლამის!..
 ფიქრის ოკეანე მითვალწუნებს, შეუბრალებელი ქსელში მბურდავს,
 ფერად გაზაფხულის სიქალწულე, მწყაზარ სილამაზეს კრძალვით ფუთავს...

გული იზაფრება, გული უღბინობით, ისეც მიღმუიან დღენი უმოწყალოდ,
 ზოგი იბურება შმორით, ობით, ზოგი უნდობლობით მწარედ წვალბოს!..
 ისეც ივეზირებს ჩემი ბედისწერა, არ იმტკივნეულებს ირიბ-ალმაცერი,
 დღეს სულ აღარაფრის აღარ მჯერა, რა უსამართლოა განაჩენი!..
 ასე გადაჩვეულს იდილიურს დღეებს მივაცილებ სველი თვალთ,
 თვალწინ აფრიალებს ბედის გიდი დღიურს და სულს მოსდებია ცეცხლის ალი!..
 მენვის ჭრილობები, სული ითოკება,სველი გაზაფხული ცრემლად დამდის,
 თითქოს იმედები თითო-თითოდ კვდება, დარდი აღმართულა გორად ცამდის!..
 არა, თანაზიარს ვერვის ვხედავ, სველი გაზაფხული აღარ მინდობს,
 როგორც შეყინული ცვარი-სევდა, როგორ შეჩვევია სულის მინდორს!

შემომეცრემლეო სიყვარულო...

შემომეცრემლე, სიყვარულო, ჭირვეულ სევდას შემოჩვეულს,
 ჭირისუფლად შემოვრჩი მარტო, ეს განაჩენი რისთვის მერგო, ნეტავი რატომ?!
 ამოღამებულ თვალეებში ახლა გამინვიმდა და სისველე მახრჩობს,
 ვერ გამიგია, შენთან ყოფნა, თუ უშენობა, ვერ ვხედავ, რა სჯობს.
 ფიქრის ქარავანს მივერეკები, რეკენ ზარები,
 მაშინ, ჰო, მაშინ გარდავიცვლები, როს დაგივიწყებ, დამეზარები.
 ახლაც მიყვარხარ, სიყვარულო, ყინვით და თოვლით,
 გაზაფხულის თბილი წვიმებით, დროებითია ეს საწუთრო,
 წუნწინი არ ღირს, მე შენს სიყვარულს შევეწირები,
 ნავშალე ნდობის კალენდარი და, როგორც მდინარე კალაპოტში,
 გამომწყვდეული მივედინები, დროებითობას უკვე მივცნები.
 გაძარცვულ ხეს ჰგავს ნაოცნებარი ტკბილი წარსული,
 ვინ ამისრულებს ზღაპრის დარად, ვინ, აწი სურვილს.
 გაძარცვულ ბაღებს შემოაცვდათ მწვანე ფოთლები –
 ნაბარბაცევი სიყვარულით მთვრალი ლოთები!
 შენით ნალოთარს მითრთის ახლაც ყოველი ნერვი,
 ყველა სტრიქონი ნაგანცდარია – ტკივილი, ცრემლი,
 ნალოდინარი, დალილი წუთი, დუმილის ბურთი
 ყელში გაჩრილა, ნასათუთარმა სიყვარულმა არ დამინდო,
 ფიცხი მხეცივით მეცა, დამცხრილა...
 შემომეცრემლე, სიყვარულო და რატომ გიკვირს
 ეგ ჩემი სევდა, დარდი, ვარამი, დავცარიელდი, სიყვარულო,
 ეგ სამყარო გახდა ნკვარამი, ვერ მიერთგულე და ლალატი
 მომიკალ გული, აღარ არსებობს არც ვარდობა, არც გაზაფხული.
 შემომეცრემლე, სიყვარულო, შე დალოცვილო, ტკივილით
 სული დამისერო, ამას რად ცდილობ?! შენ გაზაფხული
 გერქვა სახელად, ახლა კი, ახლა ტკივილის ტვირთად
 იქეცი უმალ, შენი ცხელი მზით ნაფერები წელიწადები
 დუმან და დუმან! შემომეცრემლე, სიყვარულო, შემომეცრემლე!

საბა ქვათაძე

ქალაქი

მოგესალმები, მკითხველო, თუმცა, ისიც არ ვიცი, ვის მივესალმები, შეიძლება არც მოხვდეს ეს ციციქნა ხელნაწერი შენს ხელში, დღეს კი უფრო სწორი იქნება, რომ ვთქვათ პლანეტაში, ლეპტოპში, პერსონალურ კომპიუტერში, ამაზონ ქინდლში და ასე გაგრძელდეს უსასრულოდ.

რა უცნაურია ადამიანი, სათაური მთელი ამპარტავნობით ნაწარმე, ხომ ნაიკითხე – აღსარება.

არა, კიდევ ერთხელ ნაიკითხე: **აღსარება**. ჰო, ასე ჰქვია.

ახლა იმაზე კი არ ვფიქრობ, რასაც გული მკარნახობს და ხელბეჭდს მას ემორჩილება, ის დავნერო-მეთქი. არა, ეს რომ ვთქვა, წმინდა წყლის ტყუილი იქნება და ჩემი მეცადინეობაც, რომ როგორმე მაინც შევუსაბამო ნაწერი სათაურს, შენვე ჩამითვლი ამოებდა.

ჯერ მარტო იმას ვფიქრობდი, ამ ციციქნა ჩანახატს მკითხველი ჩემგან გამიზნულად თუ უნებლიედ რომ შეხებოდა, რა უნდა ყოფილიყო ისეთი, რაც მის გულზე, ანუ შენს სიკვდილამდე გაუჩერებელ ძრავზე, ბულვარული რომანის ქალწულივით რომ მოათათუნებდა თითებს.

ვინ სვამს აღსარების ჩაბარების დროს ყავას? – არც არავინ. მე კიდევ ვდგები, ონკანიდან წყალს ვუშვებ, გასახურებელ ჩაიდან პირს ვუხსნი, ონკანიდან წამოსულ წყალს ამ ჩაიდანში ვუკრავ თავს, ჩაიდანს უკვე პირსაც დაუუკეტავ, ვახრობ, ვაღუღებ წყალს, აი, ფინჯანიც ვიპოვე, როგორც იქნა, ორი ჩაის კოვზი ხსნადი ყავა, სამი ჩაის კოვზი შაქარი, მორევა, დედაჩემის ჩხუბი, დაიბეტს დაიმართებო, ჰოდა, ყავას ვსვამ, კოფეინით გამძლარი კუჭიც მითბება და წერასაც ვაგრძელებ.

მერვე კლასში ვიყავი, ქუთაისში, ახალგაზრდობის პარკთან ახლოს მდებარე 31-ე საჯარო სკოლაში, რაც საერთოდ არაა ასე განელვით წარდგენის ღირსი, რომ ერთი ნორმალური შესახედაობის, თავის ასაკთან შედარებით ბევრად უფრო მხარბეჭიანი ბიჭი ჩემს კლასში გადმოვიდა. ნაბლისფერი თმა, მოზრდილი თავი, დიდი მოთაფლისფერი თვალები, მუქი ლურჯი ჯინსის შარვანი, დამტვერილი შავი ბოტასები და პრიალა შავი, თხელი ქურთუკი. ასე დამხვდა. მერე გავიგე, მისი დაცვად მოსულა იმ წელს მასთან ერთად. ჰოდა, და-ძმას უკვე ამპარტავნულად შეეძლოთ ეთქვათ, რომ ჩემი საჯარო სკოლის მოსწავლეები იყვნენ.

იმ დღეს შემავიანდა. მიზეზი არ მახსოვს, დერეფანში ბიჭები მოვიდნენ. ახალი გადმოვიდა, თქვეს და არაფრისმთქმელი ღიმილი დაედოთ უმეტყველო სახეებზე. მეც ნელში გავიმართე, არადა, მარტო მაშინ ვიმართებოდი, როცა ჩემები კარგა გვარისად შემომძახებდნენ, მხრებში გასწორდით. რაო? – ახალიო? ჰოდა, ასე ბეჭებამილილი და აზნექილი შევედი საკლასო ოთახში. მაშინ უნდა გენახათ, რა საოცარი ვიყავი. ჯერ ჩემი კლასელების უმეტყველო, ღიმილიანი, აზრნაკლული სახეები და მერე მათ შორის მე ვიყავი ყველაზე უმეტყველოც, ყველაზე ღიმილიანიც და ყველაზე აზრნაკლულიც. აზრნაკლულსაც იმიტომ ვწერ, რომ „უაზრო“, ცოტა არ იყოს, ბანალური მგონია.

აი, ასე ყოჩივით დავდიოდი წინ და უკან. შუა რიგშიც დავჯექი. ახალი მესამე რიგში იჯდა. გაზუთხული გაკვეთილი ჩავაბარე. მომდევნო გასაზუთხი გაკვეთილი ამისხნეს. 45 წუთი გავიდა. ზარის დასარეკად ბავშვი გაგზავნეს. ბავშვი ზარის დასარეკი ღილაკს ვერ სწვდება. ოთახში მყოფები ეხმარებიან. ზარი დაირეკა. სიცილი. მივედი. წინ მიდგას. თვალებში ვუყურებ. დავცინი. მიყურებს. ილიმის. არ დამცინის. ღიმილი წრფელია. კითხვა.

- რა გქვია ბიჭო?
- ივანე.
- გვარი?
- გაბუნია.
- ილიმის.
- და მაგარი ხარ?
- ილიმის.
- შენ რა გქვია?
- ხელი ჩამომართვი ჯერ!
- ილიმის.
- როდის გადმოხვედი?
- ვითომ არ ვიცი.
- დღეს.
- მერე?
- ილიმის.

- რა გაცინებს?
- არაფერი.
ილიმის.
ზარი ისევ დაირეკა. ყველა ფეხზე დგას და მეორე მასწავლებელს ლამის სამხედრო სალამს ვაძლევთ. დასხედით. დავსხედით!

ჩავაბარე კიდევ ერთი გაზუთხული გაკვეთილი. ისევ იგივე მეორდება, ოღონდ ახლა ცოტა მოზრდილი ბავშვი გაუშვეს ზარის დასარეკად და აღარ გაჭიანურებულა.

ილიმის. მივედივარ. ილიმის.
- რა გაცინებს-მეთქი, ბიჭო?
- არაფერი.
ილიმის.
- გეკითხები, რა გაცინებს-მეთქი?
როგორ მეგონა, რომ ისე ვლრიალებდი, ტორში ისარგაყრილი დათვიც კი ვერ გამიტოლდებოდა და ჩემი შემხედვარე დარცხენილი უკან, თავის ბუნაგში გაძუნძულდებოდა. არადა, არ მქონდა მაშინ ხმის იოგები დაბობხებული.

ილიმის. ხელს ვკრავ. ხელს მკრავს. ჰა, ლენე! ვლენე. მლენა. გვაშველებენ. დამრიგებელი შემოდის. არ მახსოვს, რა გავიფიქრე, ალბათ, ვფიქრობდი, ახლა მშობლებს დაიბარებენ, იქამდე კიდევ არაფრის-მომცემი ლექციები დაიწყება ჰუმანურობის ტრიუმფზე, სათნოების დღეგრძელობაზე, მაგრამ დედა რო მოვა და უამბობენ ჩემი გმირული საზოგადო მოღვაწეობის შესახებ, აი, მერე კი სიტყვა ჰუმანური აღარავის ემახსოვრება-მეთქი. ეგრე არ ყოფილა. დამრიგებელმა გამოხედა და ხმამაღალი ტონით მკითხა.

- შენ იცი, ეგ ვისი შვილია?
- დირექტორის?
სიცილი.
- იცი-მეთქი, ვისი შვილია?
- ვისი?
- შინდისის გმირებზე გაგიგია რამე?
- არა.
- შინდისის გმირის შვილია.

ლულულული.
- გმირის შვილი თუა, ჩვენ კლასში რა უნდა?
სიცილი.

გმირი – ამ სიტყვამ ჩემზე იმხელა გავლენა იქონია, პირველად ვიგრძენი, როგორ ჩამიხუტა სინდისმა გულში, წითელი ვიყავი, სულ წითელი. ვხედავდი არეულ სახეებს, ყველა იცინოდა, დამრიგებელიც. ივანეს გარდა, ივანე იდგა სამ რიგად დამწკრივებულ მერხების მესამე, ბოლო რიგში, ძველ, დაუანგებულ გამათბობელთან, საღებავგადაფხეკილ მომწვანო კედელთან, დამტვერილ ფანჯარასთან ახლოს. იდგა და ისევ მილიმოდა. თავი დაეხარე, ყოველ შემთხვევაში, ახლა მინდა, რომ მაშინ თავდახრილი ვყოფილიყავი ან ასე მახსოვდეს.

საკლასო ოთახი ცარიელი იყო, იქ არავინ ყოფილა ჩემი, ივანეს და ივანეს მამის, ილიას გარდა, ვიყავით მხოლოდ ჩვენ, ვიყავით და ვუღიმოდით ერთმანეთს ჩვენ სამნი.

დავახლოვდით მე და ივა. შემდეგ ისე მოხდა, რომ მამარჩემი სამსახურთან თბილისში გადავიდა, მეც წავეყვი, იქ გავაგრძელე სწავლა. დღეს აღარ მაქვს ივანესთან ურთიერთობა, მანძილი მაინც თავისას შერება. შეიძლება, გზაში რომ შემხვდეს, ვერც მიცნოს, იფიქრებს, ჭკუამცდარია ასე გახარებული გამარჯობას რო მეუბნებაო და იქნებ გვერდიც ამიაროს. მაგრამ მე ვცნობ და ვიცნობ ყველგან.

1975 წელს ვანის რაიონის სოფელ ზედა გორაში დაიბადა ილია გაბუნია. სადღაც წამიკითხავს, მეუღლე, ქალბატონი თეა ოქროპირაშვილი, ივანს დედა, ილიაზე ამბობდა სულ შრომისმოყვარე იყო და არც ერთ საქმეს არ თაკილობდაო. საქართველოს ისტორია უყვარდა, ქართველი მეფეების საგმირო საქმეებით ყოფილა გატაცებული. გმირის დედა ამბობს, იმ დღეს ვნატრობ, როცა იმიერში გადავალ და ჩავეკონები ჩემს მოუსიყვარულელად დაღუპულ შვილსაო.

2008 წლის 11 აგვისტოს შინდისის ბიჭები მტერმა ალყაში მოაქცია. ვერ დაუღწევიათ რუსის ალყისთვის თავი. მაშინ დაიღუპა. 17 აგვისტოს გადმოასვენეს პატრიარქის დახმარებით. დაკრძალეს და მიანიჭეს მედალი მხედრული მამაცობისთვის.

მის მერე ვფიქრობ, ვფიქრობ ასე ჩემთვის, მაინც რა უნდოდა, რატომ გადმოვიდა, გმირის შვილი თუ იყო, რა უნდოდა ჩემს კლასში?

ესეც აღსარება. ზემოთ რომ დავწერე, ტყუილია, ყავა არ დამიღვია წერის დროს, მაგრამ ეგ არაფერი. მე კი არა, თურმე ილიაც ატყუებდა ოჯახს გარდაცვალების დღეს, ახლა გორში ვარ, რა მინდა ომში, ერთ ბრძანებასა და დაველოდები და სამშვიდობოს გამოვალო.

თავსება

- ბიჭო, თომიაა...
- რა იყო, გაგო?
- ბიჭო, სად მოხვდით ეს, ა? აგერ მილიონერი, ეგერ მილიონერი... ყვევლებს თუ მაინც შეხედავს ნეტა... ვარდებია, რა ვიცი... ხომ არ შევრცხვებო.

- შეხედავს, რატო არ შეხედავს, შენადა გამახსენე, ბილეთები რა დაგიჯდა?
- ბილე... ბილეთები დამიჯდა 200 ლარი კაცზე!
- კარგი, გაგო, ნუ ყვირი, ხმადაბლა ცოტა. 200 ლარი? აბა ფასდაკლებააო?
- ფასდაკლება... ჰო, 300 ლირდა თავის დროზე. მარტო ხომ ვერ წამოვიდოდი, 400 ლარი ბილეთების, 150 ლარი ვარდების, 500 ლარი ტანსაცმლის, ეს მანქანა კი არ წვავს, სვამს. ეგეც შენი 100 ლარი.
- კი. გაცდი აბა 1000-ს.
- გავცდი, ჰო, თან რამე ხომ უნდა შეეჭამოთ, სირცხვილია... შეეუკვეთავ ახლა.

უკაცრავად, თუ შეიძლება!
- რა ვიცი, მე რო გითხრა, მშია-მეთქი... არ მშია. წყალს კი დავლევდი ისე, თუ დაგრჩება, რას მღერის ისე ეგეთს.
- მღერის, თომიაა, მღერის, მერედა, რას მღერის. გუნდში საუკეთესოა, თან რაღაცას ცეკვა-თამაშობენ. გულს და თვალს უხარია.
- ეგრეც უნდა იყოს.
- ერთი კვირა მეგობარი ჰყავს თან, საშენო... თეა.
- ჰო, ვიცნობ, თეას... თეას როგორ არ ვიცნობ.
- როგორ? აქამდე რატომ არ მითხრა...

ყველას უდიდესი მადლობა მობრძანებისთვის! ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია რჩეული საზოგადოების ამოსაცნობად, ჰოდა, ჩვენი მეცადინეობით ასევე ნარჩევ და მძივებად აკინძულ საღამოს შემოგთავაზებთ. ყოველ შემთხვევაში, უსიამოვნო ნამდვილად არ დარჩებით, ანკი როგორ შეიძლება ქართველი კაცი ქართული სულის გამონასროლ მჭეხარე კულტურის მომსწრე გახდეს და უკმაყოფილო შეიქნა. რომც დარჩეთ, არ თქვამთ მაინც. ჯერ ერთი, კლიენტურა მოგვაკლდება და მერე მეორე... მეორე... ჰო, ქართულია!

ჰა-ჰა!
ჰა-ჰა!
ჰა-ჰა!
- ნახე, გაგო, მდიდრებს სიცილიც მდიდრული აქვთ.
- ჰო, რაღაც არისტოკრატიული მჭეხენა, ჩუმად ახლა, გამოდის! თეატრს შეუმოსია მოლურჯო ფერი, მტვერში ახვეულა ყოველი, მაგრამ მტვერი არ ყოფილა ისეთი ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ გვხვდება ქუჩებში, წიგნების თაროზე, ზარმაცი დიასახლისის სახლში თუ რა ვიცი... ყველგან. სხვანაირი მტვერი იყო, მოტკპო. სიამით გააბრუნებდა კაცს.

- მორჩა, თომიაა! მორჩა ბიჭო! რამდენს ვნერვიულობდი, კიდევ კვირა, გამიჯობა მამარჩემმა, მაგრამ ნახე, რამხელა თაიგულები მთარევის გოგოებს, რას შეგება ხალხი, არავინ თქვას, ამ ქალაქში ფული არააო. ეს ნაბიჭვრები ჯერ არჩევენ მე მგონი და ისე აფთურებენ გესლიან ხელებს. იმათაც ტვინი არ აქვთ, იყიდებიან გროშებზე! ნენე არაა ეგეთი, თომიაა. ხო იცი, არა?!

- კაი რა, გაგო, თუ ძმა ხარ, მატერიალურზე კაცი როგორ ინერვიულებს, ეგ თუ იხსენა, სიყვარული რაღა სიყვარულია. არაა ნენე ეგეთი, გიყვარს და უყვარხარ, მორჩა კინო, წავედით ახლა სახლში.
- თომიაა, ბიჭო, ნენეს გაეასიერებ, არ მეყოფა სანაწავი, ხომ არ გენყინება, შენით რო ნახვიდე, კი წვიმს ცოტა, მარა...
- არა, გაგო, რა მენყინება, არაფერი დიდი წვიმა არაა, უარესიც ყოფილა, წინწკლავს რა...

თავსება იყო, თავსება... ერთია ლაპაღუპით, თქრიალთ ხერტდა მინას წვეთები, რასაც თავსებას ეძახიან, მაგრამ მეორე იყო ის თავსება, კაცს რომ ათასად მოაგონებს ხოლმე თავს და მერე კიდევ ათასზე გადამრავლდება.. მერე კიდევ ათასზე და ასე...

- მოვედი, დე, მე ვარ, არ ინერვიულო
- რა ქენი, თომია, დედი, რა ქნა გაგომ... ნახა ნენე? ხომ არ ნერვიულობდა?
- ნახა, ცოტას ნერვიულობდა, ირგვლივ ჯიბე მოსქელებული ხალხი იყო და თაიგულებს ატოლებდა, იმათ უფრო დიდი მიუტანესო.

- რა ანერვიულებდა, კაცო, ეგ სიყვარული რაღა სიყვარულია, ჯიბეები თუ ატოლეს ერთმანეთს.
- ეგრეა, მეც ეგ ვუთხარი. დალიე ნამლები?
- ეჰ, დავლიე, შვილო, დავლიე. კიდევ კარგი, ეს პენსია რომ მაქვს, თორემ... სანამ ცხოვრებული მამაშენი ცოცხალი იყო, კი ვათრევდით წელს, ვერ დავდივარ, შვილო... მოგხმარებოდი მეც რამეში, რა ვქნა, მივეჯაჭვე ამ ლოგინს. მაგრამ სიყვარულმა არ იცის ფული, თომია, დედიკო. უთხარი ეგ გაგოს.
- კარგი, დე! რა სიყვარული და რა ფული. ვუთხარი აბა არ ვუთხარი? ნავალ დავნებები, დავიდალე.

- მშვიდობიანი ღამე... დედი.
ღმერთო, რა ლამაზი იყო! ვერ ვიტყვი, რომ ნენე უკეთესად მღეროდა. შენც ხომ დაინახე არა? მაგრამ მაგას ხომ ვერ ვეტყვი გაგოს, თეა უკეთესად მღერის-მეთქი. ჰოდა, უფალო, ერთხელ ვცხოვრობ, მივალ ხვალ თეასთან ასე ურცხვად, ავდგები და მივალ! აუცილებლად მივალ და ვეტყვი... ყავაზე დავბატიყუებ! ჭავჭავაძეზე ადუღებენ. ხომ იცი, უფალო... ისიც გეცოდინება, ყავის ფულიც რომ არ მაქვს, მერე რითილა ვიყიდო ნამლები, დედა ფურცელზე რომ ჩამომიწერს ხოლმე და ჰგონია, პენსიის ფული ყოფნის მხოლოდ, ჰო, ჰგონია, ჩემსას არ ვამატებ. ხომ არ ვეტყვი, უფალო, ასე უფრო მშვიდააა, ერთი დედა მყავს, აბა, მაგას როგორ ვეტყვი. უფალო, შენობით რომ გელაპარაკები ხომ არ მიწყენ, არ მიწყინო, უფალო, არ მიწყინო!..



ნათია დაშინიანი

ნახევრული ლექსები

დასაწყისი

დაეძვრა საჭმლის ნარჩენებს.
 - მამი, იქ ვილაღვ კაცია,
 ნახე, რა ცუდად აცვია,
 თან მანანნალა ძალღებო
 ჭამასაც აღარ აცლიან.
 გთხოვ, ჩვენი ორი პურიდან
 ერთი მას მივცეთ მამიკო!
 - კი, შვილო, უარს არ გეტყვი,
 თავად უფალი არ იყოს!
 მე ჩემს ქურთუქსაც გავიხდი,
 რომ მას დავეთმო უფასოდ.
 გლახაკმა ხელი აღაპყრო
 და თქვა - მადლობა უფალსო!
 გზა გააგრძელეს და ბიჭი
 სულ ხტუნვა-ხტუნვით წავიდა.
 მათ მაგალითზე რამდენი
 სიკეთის ქმნას ისწავლიდა.

ენტავ რომელს გაამართლებს,
 მეფე ლომის სასამართლო?!.

ფილოსოფია

ანრიალდა ფისუნია -
 თევზისა და რძის სუნია.

მისთვის არვის სცალია:
 რძე ნინიკომ დალია.
 თევზი დაჩიმ მიირთვა,
 თქვა - კარგია ძალიან!

ფისოს უსაყვედურეს,
 გეყოს, ნულარ კნავიო.
 დაიჭირე თავუნა,
 შეინუხე თავიო.

შინ ნადავლით მისულა,
 თურმე, ერთ დღეს ფისუნა
 და ამაყად უკითხავს -
 ჩემი თავი ვის უნდა?

ლოკოკინა

ნიჟარაზე უკაკუნებს
 გაზაფხულის თბილი წვიმა,
 გამოდიო, მზეს წვეთები
 აუკინძავს ბროლის მძივად.
 ხან ღობეზე აცოცდება,
 ხან გადაჭრილ მორზე სძინავს,
 ბევრს შრომობს და არ იღლებს,
 ყველგან ზურგით დააქვს ბინა.
 საფრთხეს თუ გრძნობს, ნიჟარიდან
 თავს არ გაყოფს ლოკოკინა

ბავჯია

ყურპარტყუნა ბავჯიამ,
 ხტუნვითა და ცანცარით,
 სულ შეჭამა, ბოსტანში
 ბოსტნეული რაც არის.
 გაუჯავრდა დედიკო, -
 სადაური წესია,
 ჭამო დაუკითხავად
 რაც არ დაგითვისია?!
 შრომას წყალში ჩამიყრი,
 სხვა საშველი არა ჩანს,
 მურიკელას ბოსტანთან
 დაგიყენებ დარაჯად.

დედა ტუქსავს დათუნებს,
 თაფლის ჭამით გართულებს,
 ხან ბურღუნით უჯავრდება,
 ხან თათს წაუთათუნებს.

- როდის უნდა გაიზარდოთ,
 დამიფასოთ ამაგი?!
 რა გიქნიათ?! - შეგისანსლავთ
 თაფლის მთელი მარაგი.

ბელმა უთხრა: - ვერ გითხარით,
 დედი, რომ არ გეჯავრა...
 ერთი ქილა გავსინჯეთ და
 ყველა შემოგვეჭამა.

მყრია

რატომ ბრაზობ, მურიო,
 წყალი ხომ არ გწყურია?
 საჭმელს ისე მიირთმევ,
 თითქოს უგემურია.
 შენგან შეშინებული
 აღარ ჩანან გოჭები,
 ამ ხტუნვას და ცელქობას
 ნეტავ, როდის მორჩები?
 რით გიშველო აბა მე?..
 უკვე ჯაჭვით გაბამენ.

გახრილი

მე ვარ ბიჭი გაბრიელი,
 ყოჩალი და მარდი ვარ.
 მოვიარე მთა და ველი,
 გორდში ცხენით დავდივარ.

უნაგირზე შემოვისვი
 ბაბუა და ბიძია,
 გორდელეები იძახიან -
 ეს ბიჭუნა ვისია?

ჩიყები

- ბებია, ჩემო ბებია,
 ერთი რამ გამკვირვებია:
 ეს პანანინა ჩიტები
 ზამთარში როგორ თბებიან?!

ლიმილით ამბობს ბებია: -
 თბილ ბუდეებში სხდებიან
 და ყინვა თუ შეანუხებთ,
 ერთმანეთს ეხუტებიან.

მფარველი სხელოები

სიზმარმა რომ შეაშინა,
 ასე უთხრა დედამ ნიას:
 - მფარველად გყავს ანგელოზი
 და ნურაფრის გეშინია.
 როცა მშობლებს დაუჯერებ,
 ანგელოზიც ხარობს მაშინ,
 მაგრამ არის მოწყვნილი
 თუ იქცევა ცუდად ბავშვი.
 იმ დღის შემდეგ მოსვენება
 დაეკარგა ციციქნა ნიას:
 - ჩემს ანგელოზს რა აცვია,
 ან რა ფერის თვალები აქვს?
 დე, ფაფუკი ფრთებიც ხომ აქვს?
 მის ბუმბულში ჩავრგავ სახეს,
 ნეტავ მართლა ისეთია
 ფრესკებზე რომ გამოსახეს?..
 დედამ გულში ჩაიკრა და
 ჩასჩურჩულა: - ჩემო ნია,
 შენ როგორსაც წარმოიდგენ,
 ანგელოზიც ისეთია.

ნაიჭი

ზამთრის სუსხიან საღამოს,
 ყინვით მოჭულ ფიჭვებთან,
 შედგა ბიჭუნა, მამასთან
 ერთად რომ მიაბიჯებდა;
 და ხედავს - ერთი გლახაკი
 გამვლელებს აღარ აჩერებს,
 საბრალო, ნაგვის ურნაში

ბია ხოფერი

როცა ჰყვავის აყვია

რა სუნია, რა გემოა,
 როცა ჰყვავის აკაცია!
 იქეთ ჩვენი სამგელოა,
 სულის მოთქმას არ მაცლიან.
 აგერ ღმერთი ლაპარაკობს,
 არ მცხენია, რაც მაცვია.
 იქ ერთმანეთს შეშად ვაპობთ,
 სიცივემ სულ დაგვაქცია.
 რა სუნია, რა გემოა,
 გული ცეკვავს, მღერის სისხლი,
 ვინც კაცია, აგერ მოვა,
 დარდს უკუნში გადაისვრის.
 აფეთქდება ავის ფუთა
 მთავრების და ლივეტიტების...
 აქ სისხლიან ვერცხლის ხურდად
 ველარ გამოისხლიტები.
 უძახე, შენ, აკაცია!

სოლოვების ამოთქმული

ააფრენს სიტყვებს ბნელი თავის აეროდრომი
 და სიდიადედ მიაჩნია ყოველი გაფრენა.
 უსათაურო სიგაყვებს გაელოთ დრონი,
 დაისადგურეს ჩვენს ტყეებში ტვინის ჩაფრებმა.
 მამასახლისი ქუჩა-ქუჩა ძალღებებს მიუშვებს,
 ვილაც ლამაზი გაიძახის, ვგავარ გენიოსს,
 რადგან მინაზე მინის ხალხი მინერს მინუსებს,
 ჯოგი ვერ ითმენს, გენიოსი რომ მოერიოს!
 ააფრენს თავი ან თავები რევოლუციას
 და სისხლის წვიმა არ ნებულობს გადაკარებას,
 ორი ყაძახი მილიონებს რომ ვერ უცრიან,
 ახალ ვაქცინას არ ხედებიან ღია კარებად.
 ველარ ჩერდება, ვერ ისვენებს აეროდრომი,
 დაფრინავს ჯვართი, დაფრინავენ სიტყვა-ძონძები,
 შენ კი მინაზე არასოდეს გაგელო დრონი,
 ერთხელაც ვნახო საჩუქარი ცით ნაბოძები.

სიყვარულით თოვს და ბარდნის,
 გაიხადე, რაც გაცვია
 და ჩაიცივი თოვლი მადლი!

სხვს ვთქვათ!

აქაც მშვენივრად ამომდის სული,
 ამ არტახებში და ამ ტყეებში,
 აქ დღე და ღამის ომია სრული
 და მეც აქ ბრძოლას ველარ შევეშვი.

როცა ვიბარებ მძინარე წარსულს
 ან მე ჩავდივარ წარსულში კიბით,
 სარკეში ერთხელ ჩახედვაც არ მსურს,
 ჩემში იმდენი კვილი კვიის.

ველარ მცნობს სარკე, დღეს ეტლი ჩემი
 საითკენ გარბის, არავინ იცის.
 თუმცა აქა ვარ და შენთან ვრჩები,
 ვრჩები და ვხატავ ფერების სიცილს.

ცოტათი მინა, ცოტათი ზეცა,
 იყოს ის თუნდაც რაღაც მესამე,

ოლონდ დამესხან თავზე უეცრად,
 ჩემს ჭრილობებს თუ ამოკემსავენ.

თბილი იმედი

ქრისტე რომ აღდგა, შენც უნდა აღდგე!
 შენშიც ხომ წვიმდა ნამცეცი ქრისტეს.
 ნამცეცი ესე იმ კანონს ადგენს,
 მთელი ქვეყანაც რომ ვერ იკისრებს.

შენ ნუ გგონია, რომ ნადი, გაქრი,
 თვალი ვერ გწვდება, იფარებ შორეთს.
 რომ წუთისოფელს გაუსხლტი გაქნილს,
 ზურგით დაუდექ აქაურ მშობელს.

ნადი, ისვენებ, აქ ჩვენი ჯარი
 დრო-ჟამის მინდორს ცრემლებით ალბობს.
 ნამცეცი მაინც რომ გაგყვა ჯავრი,
 ეტყობა შენით ავსებულ ალბობს.

ეს არის ჩვენი თბილი იმედი,
 რომ ნაიტანე ნამცეცი ქრისტე.
 მოგვენათები ცეცხლი მცირედი,
 ცოტაც მოღებვა ცხოვრება მქისე.

ყონს ცოცხალი ბიოკოსთა

ყველა ჩუქურთმა ცხოვრების ოდის
 ამ სილამაზეს აყალიბებდა,
 რა ქალი მოდის, რა ქალი მოდის,
 ამოვარდნილი საყვავილედან.

ველარ უძლებენ მზეები დუმილს,
 ჩემი და მისი ცეცხლი ერთდება,
 ინყება წარღვნა ხორციელ ლუმლის,
 ომების გულზე შემოფეთება.

იშლება ყველა საზღვარი სოფლის,
 ფრინავს წრეების ტკბილი გოდება,
 ერთი პლანეტა ამ დროს არ გყოფნის
 და არც სიკვდილი არ გელოდება.

ყველა ჩუქურთმა ადის ზეცამდე,
 რა ქალი მოდის, რა ქალი მოდის...
 მინდა, ოცნებებს ერთად ვეცვავედე
 და უძლიერესს ვინყებდე ბოგინს.

მე ანი არვინ მოცურავედ არ გამიაზრებს,
 არც ვაზის პატრონს, ობოლი რომ კვლავ ობოლს ტირის.

მეყოლოც - როგორც ბნელიკოსანს

მზე გადატყობს შტოებიდან კვლავაც გვიყურებს,
 ჯერ ჩვენს ეზოში კოინდარი არ გახუნდება,
 შემკრთალი ვითვლით ჩარიგებულ წელთა რიკულებს,
 მაგრამ ჯერ გულს არ ეტყობათ გადახურება.

კედლის საათი კვლავაც ბევრჯერ აულარუნდება
 და სოფლის ცელი გამოხედვავს ქიშკარს მუქარით,
 როგორაც ადრე ვერ დაგვიგარეს მინის ხუნდებმა,
 ისევე ნახდება შემომხვედრი ნაყარნუყარი.

ღმერთმა მიშველა, რომ აღმოჩნდი მილეულ მარტის,
 სუსტად მერყეობს შენში ქარის ავლადიდება,
 თვალეში მუდამ ფერი გიზის აპრილის ფარდის
 და ვერ შეგცვალავს ვერასოდეს სხვა ამინდებმა.

რეკლამა

დიონისურისა და აპოლონურის საყოველთაოდ ცნობილი დიქტომია სათავეს ფრიდრიხ ნიცშესთან არ იღებს და ფილოსოფიის ისტორიის იმ მონაკვეთს უკავშირდება, როდესაც გერმანულმა იდეალიზმმა მე-19 საუკუნის დასაწყისში განმსაზღვრელი პოზიცია დაიკავა. გამოიკვეთა ტენდენცია განვლილი პერიოდის ფილოსოფიური იდეების ახალ შუქზე წარმოჩენისა და მეტაფიზიკური ინტენციების გადასინჯვისათვის. კანტის, ფიხტეს, შელინგისა და ჰეგელის, გერმანული იდეალიზმის ამ თანავარსკვლავედის, ისევე როგორც ფიქციონალური შემოქმედებაში, სხვა ფუნდამენტალურ საკითხთა თანაბრად დიდი ყურადღება დაეთმო ჰუმანისტური აზროვნების პრინციპების გააზრებას – ადამიანის როგორც ბიოსოციალური ფენომენის საზრისის სიღრმისეულ წვდომას. თანდათანობით გამოიკვეთა აზრი, რომ სწორედ ადამიანი უნდა იდგეს კულტურის, მეცნიერებისა და ფილოსოფიის საკითხთა კვლევის ცენტრში. ღრმა ფილოსოფიური მსჯელობის საგანი გახდა სინამდვილის საყოველთაო კანონზომიერებათა დადგენა, ადამიანის შემეცნებითი უნარის მასშტაბების განსაზღვრა, მისი გონებრივი და ფსიქოლოგიური მთლიანობის წარმოჩენა ადამიანური მოდემისათვის ნიშანდობლივი სამი უცხოობელი უნარის – გონების, განსჯისა და გრძობადობის საფუძველზე.

კიდევ უფრო გამოიკვეთა კაცობრიობის კულტურულ მონაპოვართა განაღობების ტენდენცია. გამაფრთხილებელი დამოკიდებულება წარსულის ნაზრევების მიმართ, რაც ფილოსოფიურ აზროვნებაში ნიჭილიზმის ცნების დამკვიდრებით გამოიხატა. ამის ინიციატორი კი, მართლაც, ნიცშე აღმოჩნდა, როდესაც მან სოკრატეს დროიდან დაწყებული ევროპული ცივილიზაციის განვითარება დეკადენტურად შეაფასა და მიზეზად ქრისტიანულ-მეტაფიზიკური ღირებულებების გაფუჭება დაასახელა. ნიცშემ ღრმად ჩაიხედა ადამიანის ფსიქიკაში და ეპოქის ტენდენციების კვალობაზე მუსიკასა და ტრაგედიაზე მსჯელობის კონტექსტში („ტრაგედის დაბადება მუსიკის სულიდან“, 1872), საგანგებოდ გამოიკვეთა დიონისურისა და აპოლონურის დიქტომიური ცნებები როგორც სინონიმები სამყაროს, ერთი მხრივ, ესთეტიკურად გაგებული ინსტინქტურ-საონტაგურ და, მეორე მხრივ, ეთიკურად გაგებული გონისმიერი, რაციონალური აღქმისა.

აპოლონურ-დიონისური ცნებათა წყვილი ერთმანეთს უპირისპირებს თვისებებს, რომლებიც ბერძნულ პოლითეისტურ ღვთაებათა პანთეონის ორ წარმომადგენელს მიეწერება: აპოლონი სიკვადის, კეთილგონიერების, ღამაში ფორმებისა და ნესრის ღვთაებაა. ფართო გაგებით, ის განასახიერებს სამყაროს შემეცნების განმანათლებლურ პრინციპს, დაფუძნებულს რაციონალურ ცნობიერებაზე. მის საპირისპიროდ, დიონისე როგორც ნაყოფიერების, თრობის, ღვინის, ორგის, თავდავიწყების ღვთაება, განასახიერებს სამყაროს გრძობად, ირაციონალურ ხედვას.

ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ბოლოს შრომაში ბერძნული პოეზიის შესახებ, ფრიდრიხ ვილჰელმ იოზეფ ფონ შელინგმა (1775-1854) აპოლონური ფენომენი „თვინიერ გონიერულობად“ (leise Besonnenheit), დიონისური კი „ღვთაებრივ თრობად“ (göttliche Trunkenheit) მოიხსენია, სადაც თრობა გაგებული იყო როგორც შემოქმედებითი ნების, ექსტაზის მდგომარეობა. მისივე აღწერით, თვით დიონისეს თანმხლები შმაგი, თავანწყვტილი მენადები საკუთარი ღვთაების თავყვანისცემას ექსტაზური ფორმით გამოხატავდნენ.

ეს ურთიერთსაინანაღმდეგო ცნებები წარმოადგენენ იმდროინდელი მსოფლხედვისა და ცხოვრებისეული განცდის მეტაფორულ გამოხატულებას. შელინგმა ისინი დაღვთებული განვითარების კანონზომიერებას დაუკავშირა და განვითარების უმაღლეს საფეხურად ჭეშმარიტება და ხელოვნება გამოაცხადა; გონების მოქმედების მწვერვალად მან ხელოვნება მიიჩნია, თავად გონებას კი, უმაღლესი ხელოვანი უწოდებდა. ამ ცნებათა ერთ მთლიანობაში წარმოსახვა, შელინგის შეხედულებით, უნდა ყოფილიყო კიდევ ჭეშმარიტი პოეზიის არსი. ეს იდეა ნიცშემ კიდევ უფრო გაამძაფრა. მიიჩნია, რომ სოკრატეს დროიდან დაკარგებული აპოლონურის დომინანტობა იყო სწორედ ევროპის კულტურის დაცემის, ნიჭილიზმის მიზეზი.

ნამოყვანა მოთხოვნა, რომ ხელოვნებაში გააქტიურებულიყო დიონისურ ძალთა გამოვლინება – თრობა და ექსტაზი, ტყვილი და ტკობა, ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეები და არსებობის ხალისი. მხოლოდ ასე იქნებოდა შესაძლებელი ადამიანის ფსიქიკურ უნართა ცალმხრივობისა და შეზღუდულობის დაძლევა, როგორც ეს, მისი შეხედულებით, რიჰარდ ვაგნერის მუსიკალურ დრამაში, ბე-

დიონისური ღვთაების სპრიტუალები

ვრად უფრო ადრე კი, ათიკურ ტრაგედიაში განხორციელდა. ნიცშემ ეს პრობლემა სამყაროს მეტაფიზიკური ძირების წვდომას დაუკავშირა და საამისოდ მუსიკასა და ტრაგედიას მიმართა. მისი ღრმა რწმენით, სამყარო საკუთარ არსში ატარებს ხელოვნებისეულ ძალებს და ადამიანში ბუნებრივად არსებული ეს ღვთაებები თავისებურ ანარქულ წარმოდგენებს სამყაროს ძირში მოქმედი ძალებისა, რომელთა ერთიანობით შეიძლება წარმოჩენილიყო ადამიანის ფსიქიკური მთლიანობა.

ხელოვნების დარგებში შესაბამისად ასახული, ადამიანის გრძობადი ბუნებისათვის ნიშანდობლივი ეს ღვთაებები ცხადყოფენ, თუ როგორ დომინირებს ორივე შემთხვევაში არტურ შოპენჰაუერის (1788-1860) იმხანად მოდური, მაგრამ პესიმისტური ხედვით გამსჭვალული ნაშრომი – „სამყარო ვითარდება და წარმოდგენა“. ამ წიგნის ინტენციების ზეგავლენა XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ფილოსოფიასა და ლიტერატურაზე, რომელთა სიმძაფრით გამოიკვეთა ნ. ფრიდლის ფსიქოანალიტიკურმა იდეებმა კიდევ უფრო შეუწყო ხელი, დაახლოებით ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

აპოლონური: ა. შოპენჰაუერის „წარმოდგენის“ ილუზორული სამყარო; ინდივიდუალის პრინციპი („მე“, დანაწევრებულობა, განსაზღვრულობა, ასეკტიზმი, იზოლაცია); კულტურა, ცივილიზაცია; ინტელექტი, სინათლე, ლოგიკური გააზრება; ფორმა და საზღვრები.

დიონისური: სამყაროსადმი მიმართება როგორც ა. შოპენჰაუერის მეტაფიზიკური „ნება“. ინტუიცია; ექსტაზი; გაერთიანების პრინციპი (საკუთარი თავის დავიწყება, სხვაში გადასვლა, კოლექტიური ცნობიერება); ნაყოფიერება, თრობა (ღვინით მოგვრილი ბანგი, შემოქმედებითი წვა, დემიურგის ცნება); ბუნება; ლიბიდო; მარადიული განახლება.

• • •

ქართველ მთარგმნელთა ფასდაუდებელი ღვაწლის წყალობით, მკითხველი კარგად იცნობს შექსპირის (1564-1616) დრამებსა და პოეზიას, განსაკუთრებით სონეტებს, რომელთა რამდენიმე თარგმანი არსებობს. სონეტებზე ჯეროვანი საუბარი სხვა საუბრის თემაა. ამჯერად, წერილის კონცეპტუალური არსის შესაბამისად, წარმოვადგენთ უილიამ შექსპირის შესაბამე სონეტის ორი სტრიქონის თარგმნის შესაძლებლობებს, რომ უმეტეს, რომ ევფემიზმის თვალსაზრისით შექსპირის ტექსტები მართლაც მოითხოვენ განსაკუთრებულ მიდგომას.


პირველი 126 სონეტი შინაარსობრივად მიმართულია ახალგაზრდა მამაკაცისადმი. თუმცა, ხშირად ცხადი არ არის, თუ ვის გულისხმობს ავტორი ადრესატად – მამაკაცს თუ მანდილოსანს. რენესანსის ეპოქის პოეზია უკვე იცნობდა ფრანჩესკო პეტრარკას (1304-1374) ეპოქაში ჩასახულ ტრადიციას – ლირიკულ გმირად დასახულ, მიუნდომელ, მაგრამ ტრფობის ობიექტად წარმოსახულ ღვთაებრივ ანგელოზს, თუნდაც თვით პეტრარკას „მადონა ანგელიკატა“-ს.

გასული საუკუნის 50-იან წლებში შექსპირის სონეტების ქართულ ენაზე პირველი მთარგმნელი გ. გაჩეჩილაძე წერდა:

„სონეტები შექსპირის ბნელით მოცულ პირად ცხოვრებას ერთგვარ შუქს ჰფენენ და წარმოგვიდგენენ შექსპირს – ადამიანს. მრავალი მოსაზრება წარმოიშვა მათში მოთავსებულმა ბუნდოვანმა მინიშნებებმა სხვადასხვა პიროვნებათა და მოვლენათა მიმართ“ (გ. გაჩეჩილაძე: უ. შექსპირის სონეტები, 1956).

ამ ტაქტიანი ფრაზის განვრცობის მიზნით უნდა ითქვას, რომ სონეტებში სიყვარუ-

ლის როგორც წმინდა ადამიანური გრძობის მწყობრად გააზრებული თეორია არ იკითხება. მანდილოსნის თავყვანისცემა და მისდამი ენეზიანი ლტოლვა შექსპირმა გარკვეულწილად ჩაანაცვლა იმ ეპოქისათვის პროვოკაციული ფორმით – მავანთათვის ჰომოეროტიკულად გაგებული მისი „ფაირ ბოი“ ისევე მიუწვევლია მისთვის, როგორც პეტრარკას ანგელოზი. სონეტის ობიექტად წარმოდგენილი მამაკაცის გვერდით, 127-ე სონეტიდან ჩნდება ასევე, იდუმალებით მოცული „მავგვრემანი ქალბა-



ტონი“, რომლისადმი მიძღვნილ სონეტებში შექსპირი აშკარად ამხელს ხორციელ ვნებებს. მამაკაცის მიმართ გამოვლენილი გრძობა კი, მე-20 სონეტში ერთობ თავშეკავებულად იკითხება. ქალის მიმართ გამოხატული მამაკაცური სწრაფვა განაპირობებს მომდევნო სონეტებში ვნებანი განცდათა გაძლიერებას, რაც ერთგვარ საპროგრამო სახეს იძენს 130-ე სონეტში, სადაც მშვენიერების დაუფლებების მიუღწევლობის ადგილს იკავებს სხვაება ხელმისაწვდომ მიწიერ არსებობასთან. ეს ამბივალენტური გამოვლინებები განაპირობებენ კიდევ მიდგომას შექსპირის სონეტებისადმი და იზადება საფუძვლიანი შეკითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული ამ სტრიქონებში სიყვარული, როგორც ხორციელი, მხოლოდ ამქვეყნიური თუ ალევგორიული-მისტიკური ფენომენი. შეკითხვის რადიუსი კიდევ უფრო შეიძლება გაფართოვდეს – არის შექსპირის სონეტებში გამოვლენილი სიყვარული პეტრარკასეული სულის ბუნებრივი ემოციისათვის ნიშნული სიხლე, სიმშაგე, თუ საღვთო სიყვარულის ალევგორიული ასახვის სტილი, როგორც მინიერი სიყვარულის გაავით სრულქმნილების გზაზე შემდგარი კაცის სწრაფვა ღვთაებრივისკენ.

თუ რენესანსის ეპოქას გავითვალისწინებთ, ღვთაებრივის შეცნობა შეუძლებელია, რის გამოც ლიტერატურა უარს ამბობს ტრანსცენდენტალურ სამყაროზე და ესთეტიკური ასახვის საგნად ადამიანს და რეალურ სამყაროს მიიჩნევს. შექსპირის სონეტების პოეტური მეტყველება აშკარად განტვირთულია სიმბოლურ-ალევგორიული შინაარსისაგან. სიყვარულს მასთან აქვს გამოვლინების ერთადერთი ფორმა, რომელიც ექვემდებარება ადამიანურ წარმოსახვასა და ასახვას. შესაბამისად, მისეული სიყვარული არის ხორციელ-მინიერი, ადამიანური. ამასთან დაკავშირებულმა დისკურსმა შექსპირის ლირიკული მეტყველება წარმოაჩინა არა როგორც მეტრფისა და სატრფოს კერძო ინტიმური ურთიერთობა, არამედ ის განიხილა ფართო საზოგადოებრივ-სოციალურ ფონზე, როგორც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მოღვაწე ხელმოკლე შემოქმედის დამოკიდებულება მეცემპლის მფარველობაზე, ე.წ. „პატრონზე“, რომლის მიმართ შემოქმედის მიერ გამოთქმული მამამებელი სიტყვა თუ ფრაზა შეიძლება გარკვეულწილად ტენდენციურად აღქმულიყო. ამისგან არც შექსპირი იქნებოდა დაზღვეული, თუ მხედველობაში მივიღებთ თუნდაც მის ახლო კავშირს ინგლისური თეატრის ცნობილ მფარველთან, გრაფ ჰენრი რიზლი საუთჰემპტონთან (უ. შექსპირი: თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1, გვ. V), რომლის ლიტერატურულ სალონშიც შექსპირი ალორძინების ეპოქის ინგლისურ პოეზიასა და ხელოვნებას უნდა ზიარებოდა.

თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილი ორი სტრიქონი შექსპირის მე-3 სონეტიდან შედის მიკროციკლად გაერთიანებული პირველი 17 სონეტის შემადგენლობაში, რომლებიც „შესაქმის სონეტებად“ (Kreationssonetten) მოიხსენიებიან. ისინი წარმოადგენენ მიმართვას ახალგაზრდა მამაკაცისადმი – იფიქროს შთამომავლობაზე, დაქორწინდეს, მეორე ნახევარს დედობის ბედნიერება მიაჩქოს, თვითონ კი, ახალთაობაში თავისი მშვენიერებით „განმეორდეს“ და უკვდავებას ეზიაროს. ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრებას სამყაროს ახალი ბინადრის ჩასახვის მიზნით, შექსპირი ამ სტრიქონებში ასოციაციურად უკავშირებს მინის განაყოფიერების პროცესთან დაკავშირებულ ქმედებათა ამსახველ სემანტიკურ ერთეულებს, რომლებშიც ნათლად იკითხება დიონისური ენერგიით დატვირთული ავტორისეული მგრძობელობა.

აქვე ვთქვათ, რომ სახისმეტყველების თვალსაზრისით შექსპირის წარმოდგენილი სტრიქონები მაღალი ხარისხის ტროპის შთაბეჭდილება არ ტოვებენ. გამოყენებულია ტროპის რიგითი მეტაფორული სტრუქტურა, რამდენადაც ერთ მოვლენა მიანიშნებს მეორეზე. დედნის მხატვრული ეფექტი ემყარება რეალური ფიზიკური აქტის აღწერა-სურათისთვის გამოყენებული სემანტიკური ერთეულების კონოტაციურ მნიშვნელობებს, რომლებიც თარგმნილ ვარიანტებშიც რეალური ფსიქიკისა და ცნობილი განცდების ფარგლებში თავსდება. მაღალი ექსპრესიულობის მიუხედავად, ესთეტიკური ზემოქმედება დედნისეულ ფრაზას ნაკლებად აქვს, რამდენადაც შექსპირის მიერ წარმოსახული ხატი, კლასიკური პოეზიის ბუნების შესაბამისად, სრულიად რეალური ხარისხისაა. მთარგმნელებიც, ასახული სინამდვილის ერთმნიშვნელოვნების გამო, მეტწილად, იმავე კონოტაციების ფარგლებში რჩებიან. მთარგმნელისეული სუბიექტურობა აქ თითქმის გამორიცხულია, რამდენადაც ავტორისა და მთარგმნელის შეგრძნებათა მოქმედება თანაბრად უკავშირდება მათი გონის შინაგან ქმედებას. ზოგიერთ თარგმანში კლება-მატების პრინციპით ასოციაციურად წარმოქმნილი მცირეოდენი თავისებურების ნიშნებიც მოიძიება, მაგრამ ხატების მოულოდნელობის ეფექტი კვლავაც აღწერილი კონკრეტული მოვლენის ხასიათიდან გამომდინარეობს:

„For where is she so fair whose unear'd womb / Disdains the tillage of thy husbandry?“ თანამეცხედრედ ნუთუ ვერსად ვერ ხედავ ვერცერთს, / ყამირ მინაზე ნუთუ არ გასურს გაჭრა სავალი.

ალექსანდრე ელერდაშვილის წარმოდგენილ ვერსიაშიც იქნეს თავს აუთვისებელ ნიადაგზე ძალის გამოყენება, რაც ახლის ათვისებას გულისხმობს. პროცესისათვის მნიშვნელოვანი სამივე კომპონენტი – ზმნა, ობიექტი და მიზანი თავს იყრიან მეორე სტრიქონში და ფრაზას ინტენსიურ გამომსახველობას ანიჭებენ. ყურადღებას იქცევს ასევე უარყოფათა აღმავალი გრადაცია.

„Denn welcher Schönsten ungepflügter Schoß / Würd' es verschmähen, von dir bestellt zu werden?“ ლამაზ ქალთაგან რომელი ითაკილებდა, რომ მისი მოუხვენელი ნიალი აგეთვისებინა?

ოტო გილდემისტერის გერმანულ თარგმანში დაუმუშავებელი ნიადაგი კონკრეტდება და ქალური სამყაროს სივრცეზე მიანიშნებს. შემოთავაზებული პროზაული თარგმანისაგან განსხვავებით, დედანში კომპონენტები ორივე სტრიქონში თანაბრად წინილდებიან. „მოუხვენელი ნიალი“ პირველ სტრიქონში თავსდება, პროცესუალური ზმნა შეიძლება ითარგმნოს როგორც ხენა ან დამუშავება. აქაც სახეზეა მინიშნება სასოფლო-სამეურნეო სფეროსთვის ტიპიურ პროცესზე, რაც, ასევე, ახლის ათვისებას გულისხმობს.

„Wo ist die schöne deren bracher Schoss / Vor deines Anbaus Furchenzug erschrickt“. სად ეპოვით ქალი, რომლის დაუმუშავებელი ნიალი შენ მიერ გაყვანილი კვლების ღარებს შეუშინდებოდა?

XX საუკუნის გერმანული პოეზიის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი შტეფან გეორგე ფრაზას უფრო უხვსიტყვიანს ხდის. საუბარი აქაც დაუმუშავებელი ნიალის ათვისებას ეხება. ფრაზა იტვირთება არსებითი სახელებით – კვალი და ღარი, რაც უფრო აკონკრეტებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის პროცესს.

დასასრული. დასაწყისი "ლს. №9

რომან კენიკოვილი

გამოუვალე მდგომარეობა არ არსებობს, ყველა ჭირს მოექცნება ნამალი. დიდი ილიას ნააზრევს თუ დავაკვირდებით, ის ხშირად ადამიანის ბედნიერებას ახსენებს და ამას ადამიანის თავისუფალ შრომაში ხედავს.

თავისუფალი და ბედნიერი ადამიანი, თუ მას თავისი საკუთარი სახლი, ოჯახი, მიწის ნაკვეთი ან შემოსავლის გარკვეული წყარო გააჩნია.

ჯერ ისედაც დაცლილი სოფლები, რომელიც ჩვენს გენოფონდს, ზნეჩვეულებას ინახავდა და ბუნებრივი მესაზღვრეც იყო, ახლა დაუსახლებელი გაპარტახებული და გავერანებულია. ცხოვრება ვაკუუმის ვერ იტანს, ჩამოსახლებული უცხო ტომელები და რაც დავგვიმართა, ეს ხომ თვალწინ გვაქვს, რევოლუციამდე ცხინვალში სულ ოთხი ოსური ოჯახი იყო. ჩვენს მინაწაღზე ჩვენი უჭკუობისა და ამნაირი ხალხის წყალობით ლტოლვილებად ვიქცით.

70-იან წლებში არსებობდა პროგრამები უცხო ქვეყნის სასწრაფო სამეცნიერო ინსტიტუტებთან ურთიერთობისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ჩემი თანამშ-

კანონი და კანონზოიერება

რომელი დიდი ხნით იმყოფებოდა საფრანგეთის ერთ-ერთ სამეცნიერო ცენტრში. უკან დაბრუნებული გვიყვებოდა, რომ პარიზში არსებობდა სპეციალური ადგილი, სადაც ცოლ-ქმრები მიდიოდნენ და ცოლებს დროებით ცვლიდნენ. ეს ჩემთვის თავში ავურის ჩარტყმაზე მეტი იყო. მაგრამ თურმე სადა ხარ, ამას წინათ გაზეთში ამოვიკითხე, რასაც თან ფოტო ჰქონდა დართული, რომელიც კათოლიკურ ეკლესიაში, მღვდელი შიშველ მრევლთან ატარებს ქადაგებას და ყველაფერ ამას ადამისა და ევას ედემის ბაღში შიშვლად ყოფნას უკავშირებს. სადამდე დაეცა ადამიანის ზნეობა და რა მორალის მატარებელია ადამიანი. ჩვენ რასაც ადამიანურს ვეძახდით, დღეს უკვე ჩამორჩენილობად და სირცხვილად ითვლება.

მეცნიერებისა და ტექნიკის დღევანდელ დონეზე, როდესაც ადამიანი რობოტში ინტელექტს დებს და რობოტს ჭადრაკს ათამაშებს, თვითონ უსულო მექანიკური თოჯინა ხდება, რომლის მართვა ძალზედ იოლია.

გავიხსენოთ სულმნათი ჭაბუა ამირეჯიბის უკვდავი ქმნილების ეპი-

ზოდი, სადაც დათა თუთაშხიას პირით ხალხს მიმართავს: „შეხედეთ, ხალხო, რას დაგამსგავსათ ამ მამაძალმა სეთურმა“. ეს მიმართვა ჩვენზე მეტად ევროპელ ხალხს ეკუთვნის, რომელსაც დღეს ბებერ ევროპად მოიხსენიებენ, და მისი, როგორც თეთრი რასის გადაშენებას უახლოეს მომავალში ელოდებიან.

ამ თემაზე და ქვეყნის ბედზე ჩვენზედ ბევრიც და ჭკვიანურადაც აქვთ ნაფიქრი ჩვენს წინაპრებს. დიდი ილიას აზრით, ხალხების ცხოვრება მიმდინარეობს როგორც კერძო, ისე საერთაშორისო კანონების მიხედვით. ხალხების ცხოვრებაში, ამბობს ილია ჭავჭავაძე, ბევრია ზოგადი კანონები, რომელნიც ყველგან ერთნაირად მოქმედებენ, რაც უნდა ერთმანეთზე დამორებული ქვეყნები აიღოთ და სულ სხვადასხვა თვისებისანი, ნახავთ, რომ ეკონომიკური მსვლელობა და განვითარება ყველგან ერთნაირი ყოფილა.

რატომ არ გვაძლევს უფლებას, მივიღოთ მხოლოდ (თუ არა გვაქვს) ის ზოგადსაკაცობრიო კანონები, რომლებიც ჩვენს ერსა და მოდგმას გამოადგება. რატომ უნდა ვთქვათ

უარი ჩვენი წინაპრების მიერ ჭკუით, ხმლით, სისხლით მოტანილ მამულზე, სარწმუნოებაზე, რამაც ამ ქარცეცხლიან საუკუნეებს გამოგვატარა, ან ჩვენს ენაზე, რამაც ჩვენი გენი და მოდგმა დღემდის მოიყვანა. ღმერთმა გვიხსნას, ამბობს ილია, იმ სულელური თამამობისაგან, რომელიც ფიქრობს გადასხვაფეროს ცხოვრება თავისებურად.

ჩვენ ხომ პატარა ერი ვართ. გამოადგება კი ჩვენს ქვეყანას ყველა ევროპული კანონი და მათი ცხოვრების ყველა წესი?

საზოგადოებრივი ცხოვრება, ისევე როგორც ბუნება, არ არის მოვლენების შემთხვევითი გროვა. საზოგადოებრივი ცხოვრება ბუნების მსგავსად, მოვლენების კანონზომიერ ერთიანობას წარმოადგენს. იგი ეკონომიური, ზნეობრივი, იდეოლოგიური მოვლენების კანონზომიერი ურთიერთობაა.

შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ ჩვენი ქვეყანა თავისი ბუნების და კუთხეების მრავალფეროვნებით, საკუთარი ცხოვრების წესებითა და კანონებით, რაც პირადად ჩემთვის სასწაულია. შევადაროთ იგივე თბი-

ლუკა ბასილაძე

თავისუფლებაზე მრავალი რამ თქმულა და დანერგა. მისი, როგორც ტერმინის, დეფინიციაც მრავალგვარი და ურთიერთგანსხვავებულია. გასათვალისწინებელია მისი სახეცვლილებები და სხვადასხვა სახის გამოვლინებები, რომელთაგან თითოეულზეც მრავალი მსჯელობა შეიძლება. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მე მაინტერესებს ის მოვლენა თავისუფლებისა, რომელსაც აბსოლუტიზმს ვუწოდებთ. შესაძლებელია თუ არა, არსებობდეს აბსოლუტიზმი (შეუზღუდავობა) თავისუფლებაში? რამდენად რეალისტური ანდაც მისაღება ყოველგვარი შეზღუდვის უარყოფა, როდესაც საქმე თავისუფლებას ეხება? ანდაც საერთოდ საჭიროა რაიმეგვარი შეზღუდვის დანერგვა ამ უკანასკნელისათვის?

თუკი სიტყვის ეტიმოლოგიიდან გამოვალთ, თავისუფლება თავშივე მოიაზრებს არამარტო თავისათვის რაიმე უფლების მინიჭებას, არამედ თავზე უფლობას, ანუ თავზე ამაღლებულად ბატონობას. ჩვენ ერთგვარად ამ ბატონობით უკვე ვზღუდავთ თავისუფლების თვითნებურ გამოვლინებებს, რადგან ის, ვისზედაც ბატონობენ, შეუძლებელია სრულიად თავისუფალი იყოს; მისი ნება, თავისდა უნებურად, მცირედით მაინც იზღუდება. მაგრამ, შესაძლებელია თუ არა ჩვენ, როგორც ბატონებს, ჩვენსავე თავს, როგორც დამორჩილებულს, მივანიჭოთ სრული თავისუფლება, აკეთოს ის, რაც სურს? თუკი ამდგავარად მოვიქცევით, იკარგება თუ არა ჩვენი, როგორც ბატონის როლი და საჭიროება და იხშობა თუ არა მისი ყოველგვარი გამოვლინება? თუ კი დამორჩილებულს აქვს ნება აკეთოს ყოველივე, რაც მოუსურვებია, მაშინ ბატონის როლი იქ სრულად უარყოფილი და მიჩქმალულია. მაგრამ საკითხი ასეთია: ჩვენში არსებულ ბატონს, რომელიც ზეადმატობს ჩვენზე, აქვს თუ არა აბსოლუტური ნება? შეუძლია აკეთოს ყოველივე, რაც მოუსურვებია? ანდა, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი დამორჩილებული ნაწილი ბატონის წინააღმდეგ აჯანყების შემდგომ თავად გახდება ბატონი და იგივენაირად მოიქცევა? ორივე შემთხვევაში მხოლოდ ბატონს ენიჭება შესაძლებლობა, თავისი თავი შეზღუდვისაგან გაათავისუფლოს, რამეთუ დამორჩილებულთა შემთხვევაში, მათი ნებისმიერი თვითნებობა, ბატონის მიერ წამსვე აღიკვეთება. ვფიქრობ, ეს ყოველივე სიტუაციურ ხასიათს ატარებს.

აბსოლუტიზმი თავისუფლებაში

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ შეუზღუდავობა, როდესაც იგი თავისუფლებასთან მიმართებით განიხილება, მიუღებელი და დამღუპველიც კია როგორც პიროვნებისათვის, ასევე სოციალურსაც. თავისუფლებას სჭირდება შეზღუდვა, რამდენად აბსურდულადაც უნდა უღერდეს ეს. შეუზღუდავობა მოიაზრებს ნებას, რომლისთვისაც ყოველივე ნებადართულია – აკეთოს ის, რაც მოუსურვებია, შეზღუდვების გარეშე. და მაინც, რას ვგულისხმობ ამდენგზის ნახსენებ „შეზღუდვებში“? თავისუფლებასთან მიმართებისას „შეზღუდვას“ წარმოადგენს ჩვენივე სინდისი და მორალი, როგორც წინააღმდეგ თავისუფალი ნებისა. იმის გამო, რომ არსებული მოვლენათა უმრავლესობა, მათ შორის ეს უკანასკნელიც, სუბიექტურია, რთულია ჩამოვყალიბოთ ზემოაღნიშნულის ობიექტური, შეჯერებული განმარტება, რადგან იგი ყველასათვის განსხვავებული და შესაძლოა, ურთიერთგამორიცხავიც კია, რადგან ის, რაც ჩემთვის მისაღებია, შესაძლოა, სხვისთვის მიუღებელი აღმოჩნდეს. მიუხედავად ამისა, სუბიექტურ აზრთა შეთანხმებით შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ ობიექტურთან მიახლოებული მოსაზრება, როგორც ნაყოფი აზრთა შეჯერებისა. სინდისი ერთგვარად აღკვეთს იმ შეზღუდვებს, რომელსაც ადამიანს ბუნება და პირველსაწყისი ანიჭებს, ხოლო მორალი მასზე დამყარებული დებულებანი. თავისუფლების შეუზღუდავობა პირდაპირ ნიშნავს მორალურ დებულებათა უარყოფას, რადგან თუკი ადამიანი არსებობს მცირედით მორალური დებულებანი მაინც, შეუძლებელია, იგი სრულებით თავისუფალი იყოს; მას არ შეეძლება იმის გაკეთება, რაც მისი სინდისის წინააღმდეგაა, რაც ზღუდავს მის თავისუფლებას და უარყოფს აბსოლუტიზმის, როგორც ტერმინის, არსსა და განმარტებას. აბსოლუტიზმით ჩვენ უფლებას ვანიჭებთ ადამიანს აკეთოს ის, რაც მოუნადინება ნებისმიერი მორალური შეზღუდვის გარეშე: მოკლას, გააუპატიუროს, ანამოს, მიაყენოს ემოციური ზიანი, ძარცვოს და ა.შ.

ბუნებით თითოეული ადამიანი აბსოლუტურად თავისუფალია. ჩვენში არსებული ცხოველური საწყისი არ გვიყენებს არანაირ შეზღუდვას. გამოვყოფ ორი სახის თავისუფლებას: გარეგანსა და შინაგანს. გარეგანი ანუ

ფიზიკური თავისუფლება თავისთავად მოიაზრებს სწორედ იმ შეუზღუდავ ნებას, რომელზედაც ვსაუბრობთ. იგი არ გვზღუდავს და გვაძლევს ნებას, ვაკეთოთ ყოველივე. ეს გამოვლინება ადვილად შესამჩნევია (თუმცა არც ამ შემთხვევაში შეიძლება მას ბოლომდე შეუზღუდავი ვუწოდოთ, რადგან სრულყოფილი ცხოველური ბუნების მიუხედავად, მათ მაინც გააჩნიათ ის მექანიზმი, იქნება ეს გონებრივი, ინსტინქტური თუ სხვა სახის, რომელიც აძლევს საშუალებას განასხვავონ ოჯახის წევრები და არ მიაყენონ რაიმე სახის ზიანი მათ; ამის მიუხედავად, ზოგიერთ შემთხვევაში მოცემული ფაქტორებიც სრულებით უარყოფილია) ცხოველთა სამყაროში. იმ არაციფილიზებულ ცხოველებს, რომელთაც არ შეუძლიათ ცივილიზაციის ხელი და რომელთა ბუნებაც პირველსაწყისივე ღრმად ცხოველურია, აქვთ სრული შეუზღუდავობა, აკეთონ ის, რაც მოუნადინებთ, თუმცა, შესაძლოა, მათ ასეთი ქცევა ინსტინქტურ ქმედებებსაც მივანეროთ, რომლებიც თვითგადარჩენის საჭიროებიდან გამომდინარეობს და დამახასიათებელია მათთვის. ინსტინქტურად მოქმედების დროს ადამიანს არ გააჩნია რაიმე მორალური ზღუდე, რომელიც მის ქმედებას შეზღუდავს, ნებისმიერი ინსტინქტური ქმედება, რომელშიაც არ მონაწილეობს გონება (ამ დროს დახშულია აზროვნება როგორც კულტურული ფენომენი) და დამყარებულია თვითგადარჩენის პრინციპზე, დაბრუნება ცხოველურ პირველსაწყისთან. ასე რომ, ჩვენ, ერთი მხრივ, როგორც ცხოველური საწყისის მქონე არსებებს, გვაქვს აბსოლუტური თავისუფლების ფენომენი, როგორც ფიზიკური, ცხოველური მოვლენა. მაშინ რაღა გვიშლის ხელს, გამოვიყენოთ ის, რაც უკვე არის ჩვენში და ჩვენი ბუნებისათვის დამახასიათებელია?

სწორედ ეს მეორე სახეობა თავისუფლებისა გვიშლის ხელს, გამოვიყენოთ ბუნებით მონიჭებული აბსოლუტური თავისუფლება, რომელსაც მინაგანი ანუ სულიერი თავისუფლება ეწოდება (ამ შემთხვევაში ტერმინ „სულიერს“ არ ვიყენებ რაიმე რელიგიური დატვირთვით, არამედ როგორც ხატებას, როგორც რაღაც სხეულზე ამაღლებულობას; როგორც გრძობათა ნავსაყუდელისა). შინაგანი თავისუფლება ფიზიკურის შეზღუდვაა, რადგან შეუძლებელია,

ეს ფენომენი უჩარჩოოდ, უზღუდოდ წარმოვიდგინოთ. თუ კი ჩვენ ჩვენივე თავისუფლებით ვარღვევთ სხვისას, ჩვენ არ ვართ თავისუფლები და ჩვენი ეს მოვლენაც უფლებელსაყოფია. თავისუფლების ამ სახის განმარტება ერთი სიტყვითაა შეიძლება – სინდისი, რომლიდანაც მორალი გამომდინარეობს. ამ ფენომენზე აღარაფერს ვიტყვი, ზემოთ უკვე აღვნიშნე და ხაზიც გაუუსვი მის სუბიექტურ განმარტებითობას. მიამჩნია, რომ ეს სახე თავისუფლებისა, მეტად კულტურული ფენომენია.

და მაინც, არსებული შეზღუდული თავისუფლების მიუხედავად, არსებობს თუ არა აბსოლუტური თავისუფლების გამოვლინებები? პასუხი ძალზე მარტივია – დიახ. ნებისმიერ მოვლენას აქვს რადიკალური გამოხატვისი და ეს მოცემულ ფენომენსაც ეხება.

ასეთ ერთ-ერთ გამოხატვისად მიმაჩნია ისეთი ადამიანი, რომელიც სიგიჟით არის დაღდასმული. თუკი სიგიჟე შექსპირისულად მივუდგებით და მისუფლად ვადავინარებთ, სიგიჟე არის დროის გვეტროული ცვლილების შედეგად ადამიანის ბავშვობაში გადავარდნა. მისი პერსონაჟებიც, რომლებიც გიჟდებიან, უბრუნდებიან ღრმა ბავშვობას. ეს პერიოდი გამოჩნეულია მორალურ-სოციალური შემაკავებლების არარსებობით. ბავშვს არ გააჩნია ის შემაკავებლები, რომლებიც უნდა ჩამოყალიბდეს პიროვნულ-კულტურული განვითარების თანადროულად. ამ პერიოდში ბავშვი ამბობს იმას, რასაც ფიქრობს და აკეთებს იმას, რაც სურს. ისე, რომ სრულებით ვერ იაზრებს მოსაუდინელ შედეგებს. ეს კი ბრალაა ჯერ კიდევ განუვითარებული აზროვნებისა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბავშვობაც ერთგვარი ხანაა, როდესაც ადამიანს აქვს აბსოლუტური თავისუფლება, რომელიც მალევე თირგუნება ან უკვე დათრგუნული აბსოლუტიზმის წინააღმდეგობით. ეს პერიოდი ბავშვობისა იმდენად მცირეა და ხშირ შემთხვევაში, უვნებელი, რომ განხილვად არც ღირს, თუმცა მაინც გასათვალისწინებელია. სწორედ ბავშვობაში მიბრუნების გამო ადამიანი უარყოფს (თავისდაუნებურად) (და თუმცა ვიღაცა არ ფიქრობს მსგავსად, რომ სიგიჟე ბავშვობაში აბრუნებს ადამიანს, იმაზე მაინც დამეთანხმება, რომ სიგიჟე უარყოფს სოციალურ-მორალურ საზღვრებს და სრულ თავისუფლებას იძლევა) იმ კულტურულ-სოციალური შემაკავებლების არსებობას,

ლის, ჩვენს მეგაპოლისს: აჩქარებული ცხოვრება, ერთმანეთს დამორებული მეზობელ-მეგობრები, ბევრი თვალს ირიდ-არიდებს ერთმანეთს. სახეზე ნიღაბფარებული დადიან, რობოტებად ქცეულები, ალაღ ღიმილს ვეღარ ახერხებენ. მენატრება ის დრო, როცა საქართველოში კაცები არსებობდნენ. საით მივდივართ?

თუ გვაქვს გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ მცირე ჯგუფს, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოს მართავს, შემოსავლის წყაროდ აქვს ნავთობი, ნარკოტიკები და „სამკურნალო“ ნამლები. როგორ იყენებენ ამ ნამლებს?

შეგვიხსენებთ წამლებზე, რომელთა უმრავლესობის მიღება ინვესტორების მიერ ხდება და რისთვისაც წინასწარ გამზადებული აქვთ უფრო ძვირადღირებული წამლები. გამოვნილია საშუალებებიც, რომლებიც გარკვეულ რასებზე მოქმედებს და შეუძლებელია მათი მსაპოხა. ჩინელებს აქვთ უმსხვილესი სამედიცინო სამეცნიერო ცენტრები და, მათი თქმით, ჩინეთში შეტანილი ქათმის გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა ოთხმოცდაათს დღემდე შექმნეს. ჩვენთან ისე განწყვიტეს შემოტანილი ვირუსით ღორები, რომ ამდენი ხნის განმავლობაში გლეხმა მისი მოშენება ვეღარ შეძლო.

რომლებიც ერთ დროს გააჩნდა. ეს ინვესტორების მიერ ჩამოყალიბებას, როდესაც დათრგუნული, ანდაც სრულიად უარყოფილია მორალი და რაიმე სახის შეზღუდვა. გიჟი აბსოლუტურად თავისუფალია და, გასათვალისწინებელ მიზეზთა გამო, სოციალურად ამაზე პასუხი არც მოეთხოვება.

ხშირ შემთხვევაში, დამნაშავეები ამ გამოხატვისს არ მიეკუთვნებიან, რადგან მათ, დამნაშავეობის მიუხედავად, აქვთ ის მორალური პრინციპები, რომელთაც მისდევენ. მაგალითად უარყოფენ მკვლელობას, ძარცვას, ეწინააღმდეგებიან გაუპატიურებას, პედოფილიას, ცლილობენ, მათი საქმიანობის არეალში არ შედიოდნენ ოჯახის წევრები და ახლო მყოფი ადამიანები. მაგრამ აქაც შევხვდებით გამოხატვისს. არსებობენ ისეთებიც, რომელთაც არ გააჩნიათ ასეთი პრინციპები. მაგალითისათვის, განურჩევლად კლავენ ყველას, ანამებენ, აუპატიურებენ, მათთვის არ არსებობს სოციალურ ურთიერთობათა კონტექსტი, რომელსაც არ შეეხებოდნენ და სხვა. ასეთ დამნაშავეებს აქვთ აბსოლუტური თავისუფლება და მისი საჭიროებებისა არ ცნობს.

თვალსაწინიერებისათვის ძირითადად ეს ორი გამოხატვისი გამოვყავი. რა თქმა უნდა, ამ გამოხატვისების გარდა, კიდევ მოიძიება სხვანიც. უბრალოდ, მსურდა, ზოგადად განმეხილა აბსოლუტური თავისუფლების არსი, მისი საჭიროებებისა და მისი გავლენის ინდივიდი. ზემოთ აღვნიშნე და აქაც ვიტყვი, რომ აბსოლუტური თავისუფლება მიუღებელი და დამღუპველია.

ძირითადად ყურადღება გავამახვილე ინდივიდებზე და სრულებით არ მისაუბრია იმ სახელმწიფო ინსტიტუციებზე, რომელზეც შეიძლება გავრცელდეს მოცემული მოვლენა. მსჯელობისას განხილულ დამნაშავეებზეც შესაძლოა გაჩნდეს კითხვა, არიან კი ისინი სრულებით თავისუფალნი? ისინი იძულებულნი არიან, მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ჩაიდინონ დანაშაული. ანუ მათ უჩნდებათ ვალდებულება, ხოლო არსებობა ვალდებულებისა თავისთავად ზღუდავს თავისუფლებას. ესეც გასათვალისწინებელი ფაქტორია. მისი არსებობა უკვე ერთგვარი შეზღუდვაა და აბსოლუტიზმს ეწინააღმდეგება, რადგან მილიარდს რომ ერთიც კი დაეკლოთ, მილიარდს აღარ იქნება, ასევე თუ კი შეუზღუდავ თავისუფლებას ერთ, სულ მცირედს შეზღუდვას მივანიჭებთ, იგი კარგავს თავის არსს და შეუზღუდავი აღარ არის. თუმცა მაინც ეს მხოლოდ ერთი მცირე ფაქტორია.

ოქროს წყება

უხსოვარ წარსულში ამიერკავკასიის დაბლობი ხმელთაშუა ზღვის აკვატორიით იყო დაფარული. მოგვიანებით, როდესაც მთის ქანობებმა ამოინია, კასპიის ზღვა გამოეყო ოკეანის სივრცეს, რამაც იგი ტბად აქცია. დიდი და მცირე კავკასიონის მასივებს შორის წარმოქმნილია ლიხის ქედის გრძელფეხმა განლაგებამ აღმოსავლეთისაკენ და დასავლეთისაკენ მიმართული ორი ამფითეტრალური აგებულების გეოგრაფიული არეალი შექმნა, რომლებიც ისტორიულ წყაროებში მოხსენიება როგორც „ლიხთიმერი“ და „ლიხთამერი“.

ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, პალეოლითისა და ნეოლითის ხანაში გაჩენილი სიცოცხლის პირველი ნიშნები კავკასიონის მიდამოებშიც არის აღნიშნული. ამ დროის საბრძოლო და სამეურნეო იარაღები ნაპოვნია იმერეთში, რაჭაში, სამეგრელოში, აფხაზეთსა და სხვა კუთხეებში. მცხეთის, თრიალეთისა და კოლხეთის დაბლობის გათხრებმა აღმოაჩინა შემდგომი ეპოქების კულტურული განვითარების უამრავი მასალა სპილენძის, ბრინჯაოს და რკინის ნაკეთობების სახით. საქართველოში მრავლად მოპოვება ისეთი უძველესი არქიტექტურული ნიმუშები, როგორებიცაა დოლმენები და მენჰირები. მსოფლიოს კულტურის ამ ხანის ეტაპობრივ განვითარებას ტომობრივი ყოფა ახასიათებდა, რაც ჩვენშიც საკმაოდ დიდხანს შემორჩა.

ამგვარად, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მრავალმა არქეოლოგიურმა და ისტორიულმა კვლევამ ცხადყო საქართველოს მინა-წყალზე პირველყოფილი ადამიანის ბინადრობის ფაქტი. მათი სამყოფელი ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ბუნებრივი თავშესაფრებით, გამოქვაბულებითა და მღვიმეებით შემოიფარგლებოდა. მოგვიანებით ნეოლითის ხანაში ხდება ადამიანის ბუნებრივი თავშესაფრიდან გამოსვლა და პირველი ხელთქმნილი სადგომების წარმოშობა. ისინი ძველი ნეოლითის ხანის VI-V ათასწლეულით თარიღდება.


მომდევნო ხანაში იწყება ცალკეულ ტომთა გაერთიანება. ამ მიმართებით უპირველესად უნდა ვახსენოთ „დიოხის“, რომლის ფარგლებში ამჟამინდელ ქალაქ არზრუმამდე აღწევდა, მოგვიანებით ეს სახელწოდება გარკვეული ცვლილებით საქართველოს ერთ-ერთმა ისტორიულ-გეოგრაფიულმა პროვინციამ – „ტაომ“ დაიმკვიდრა. ასევე უძველესი წარმონაქმნია „ვილხა“, რომელმაც ძველი ნეოლითის ხანის VII საუკუნეში გაანადგურა „დიოხის“. ეს სახელწოდება და მისი მეფე აიგეტი მსოფლიოსათვის ცნობილია არგონავტების თქმულებიდან.

სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების გაერთიანებული დასახლებული ადგილი ძველი იბერიის ფარგლებში არავისა და მტკვრის შესართავთან, არმაზ-ბაგინეთში ჩნდება. აქ ნაპოვნი საოქრომჭედლო ნივთები და მოზაიკური ფენა მეტყველებს, რომ იბერიაში რომაელების მოსვლამდე ბევრად ადრე იყო განვითარებული სამოქალაქო ცხოვრება და არქიტექტურულ ხელოვნებაზე დაფუძნებული სამშენებლო კულტურა. ისეთი ცნობილი ისტორიკოსები, როგორებიცაა ქსენოფონტე, პეროდოტე, სტრაბონი და სხვები არიან, მაშინდელ საქართველოს განვითარებული რკინის წარმოების, უღრმესი კულტურისა და მაღალი სამშენებლო ხელოვნების მქონე მდიდარ ქვეყნად მოხსენიებენ.

ახალი ნეოლითის ხანის დადგომიდან ჩვენს დრომდე საქართველოში მრავალი სახელმწიფოებრივი ვექტორი შეიცვალა, რომელთა შორის თანამედროვე ეტაპზე მეტად აქტუალურად რუსეთის საკითხმა წამოიწია ნინა პლანზე. ამიტომ უპრიანია მოკლედ მიმოვიხილოთ საქართველოს რუსეთთან შეერთების გარემოებანი.

საბუთი, რომლითაც ერეკლე II-მ რუსეთის იმპერატორს მიმართა, შედგენილი იყო 1771 წლის 30 დეკემბერს. მასში ქართველი მეფე ითხოვდა ქართლ-კახეთში 4000-ანი ჯარის გამოგზავნას, რუსეთის მფარველობას თავისი შთამომავლების „მეფობის უცვალებლობაში“, ეკლესიური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, ყირიმის ტყვეების სახლში დაბრუნების უფლებას და ქართლ-კახეთისათვის სესხის გამოყოფას.

თავის მხრივ იგი იღებდა ვალდებულებას: არსებულ მადნეულის ნახევრის ბოძებას; აომლზე თითბეტი შაურის მირთმევას; ყიზლარამდე საკუთარი ხარჯით 2000 ვედრო რჩეული ღვინის მიტანას; წელიწადში 14 საჯომე ცხენის გადაყვანას; ოსმალთაგან დაბ-



რუნებული მიწების მოსახლეობიდან რუსეთის თავადების ასაკრებლის ნახევარის გაღებას; (კახეთის დაბრუნებული მიწებიდან ზემოთხსენებულ პირობას ორასი ფუთი აბრეშუმი ემატებოდა); როგორც კი ქვეყანა წელში გასწორდებოდა, ჯარზე დახარჯული ფულის დაბრუნებას; ქვეყნის დამშვიდებისთანავე, სალდათი მიიღებდა კომლზე იმდენს, რასაც თვით რუსეთში იღებდა; მეფისწულს და თავადაზნაურობას კი სათანადო პატივს ქართული მეფის კარისა და თავადაზნაურობისაგან.

ამგვარი შინაარსის ამსახველი საბუთი წარმოადგენს 1772 წლის იანვარში ქართულმა ელჩობამ ანტონ კათალიკოსის და ლევან ბატონიშვილის მეთაურობით რუსეთში.

1773 წლის 31 დეკემბრით დათარიღებულ წერილში ეკატერინე II თუმცა უწონებდა ერეკლეს შეთავაზებულ წინადადებას, მაგრამ საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის გამო სთავაზობდა საკითხის მომავლისთვის გადადებას. ასე რომ, 1774 წელს ხსენებული ელჩობა ხელცარიელი დაბრუნდა.

ვითარება შეიცვალა, როცა თურქეთმა ცნო რუსეთის უფლება შავ ზღვაზე და ქუჩუკ-კაინარჯის ზავის საფუძველზე მათ ვასალად მყოფი ყირიმის სახანო დამოუკიდებლად გამოცხადდა. ამის შემდეგ რუსეთის მთავრობამ ქართველ მეფეებს რაინგის პირით აცნობა, რომ მზად არის საქართველოს წინადადების განხილვისათვის და ხელშეკრულების პროექტის შემუშავებას შეუდგება. 1782 წლის დამლევეს ეკატერინე II-მ წერილობით აცნობა თავად გრიგორი პოტიომკინს პირადი მოსაზრებანი ქართული საკითხის თაობაზე:

„რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ მყოფ ქართველ მეფეებთან თქვენის ბრწყინვალეების მეშვეობით უნდა დაიდოს სამოკავშირეო ტრაქტატი, სადაც ისინი არა ქვემდგომობად, არამედ მოკავშირეებად იქნებიან მოხსენიებული. არავითარი ფულის ღირსე არ იქნეს მოკრებილი, არც ნახევარი მადნეულისა, დარჩეს რა ყოველივე ეს ქართველ მეფეთა სარგებლობაში, მიღებულ იქნას მხოლოდ აბრეშუმის, ღვინისა და ცხენებისაგან შემდგარი ძველი.“

ამგვარად, ეკატერინე II-ს მითითებების თანახმად, ტრაქტატი შეუდგარებლად შეღავათიანი პირობებით იღებოდა, ვიდრე ამას თვით ერეკლე II-ის მიმართვა ითვალისწინებდა.

1783 წლის 7 მაისს გენერალმა პავლე პოტიომკინმა პოდპოლკოვნიკ ტამარას ხელით მიიღო გრიგორი პოტიომკინისგან ქართულ და რუსულ ენებზე მომზადებული ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც იგი თბილისში გამოისტუმრა.

1783 წლის ივნისში ქართლ-კახეთის სამეფო კარმა ხელშეკრულება ძირითადად მიიწინა; 28 ივნისს ერეკლემ ხელი მოაწერა სამეფოს თავადაზნაურობა სიას. ამის შემდეგ ივანე ბაგრატიონისგან, გარსევან ჭავჭავაძისაგან, თელავის სემინარიის რექტორ გაიოზ არქიმანდრიტისგან, მდივნის და 20-კაციანი ამაღლისგან (სულ 24 წარმომადგენელი) შემდგარი ელჩობა რუსეთს გაემგზავრა.

რუსეთის მხარეს თავად გრიგორი პოტიომკინი წარმოადგენდა, რომელმაც თავის ნათესავს, კავკასიის ხაზის სარდალს, გენერალ პავლე პოტიომკინს დაავალა ტრაქტატზე ხელის მოწერა.

1783 წლის 24 ივლისს, დილით წარმომადგენლები შეიკრიბნენ გეორგიევსკში და პირველ საათზე საზეიმოდ მოაწერეს ხელი 13 არტიკლისგან შემდგარ ტრაქტატის ძირითად ნაწილს, 4 არტიკლისგან შემდგარ სეპარატულ მუხლებს და „ფიცის სახეს“ ორივე ენაზე. ხელი მოაწერეს ჯერ პავლე პოტიომკინმა, ხოლო შემდეგ ივანე ბაგრატიონმა და გარსევან ჭავჭავაძემ. შეთანხმდნენ მეოთხე

დოკუმენტზე (დამატებით მუხლზე). გენერალმა პავლე პოტიომკინმა ხელშეკრულების დედანი, ქართველ თავადაზნაურთა სია და მოლაპარაკების ოქმი გაუგზავნა თავად გრიგორი პოტიომკინს. როდესაც ყოველივე ეს ეცნობა ერეკლე II-ს, მან დიდ წვეულებას უწმო და ქართული წესით, სუფრაზე 20 აგვისტოს დალოცა ორი მართლმადიდებელი ერი და მათი ქვეყნები: რუსეთი და საქართველო.

1783 წლის 21 სექტემბერს ეკატერინე II-მ მოახდინა „მეგობრობის ხელშეკრულების“ რატიფიცირება, რის შემდეგ საბუთი საქართველოში გამოგზავნეს. აქაც როგორც ვხედავთ იმპერატრიცა ეკატერინე II მოწოდების სიმალეზეა: მან, პირველ რიგში, როგორც ქალბატონმა და ამავდროულად მართლმადიდებელი ქვეყნის მოკავშირემ მეგობრობის ხელშეკრულების რატიფიცაცია მოახდინა 21 სექტემბერს, ანუ როგორც საქართველოს წილხვდომილად ეკუთვნოდა მარიამობის შობის დღესასწაულზე, და არა 24 დღით ადრე, 28 აგვისტოს, თუმცა თვით კრემლში სწორედ ღვთისმშობლის მიძინების სახელზე არის ტაძარი აგებული.

1784 წლის 17 იანვარს პოლკოვნიკი ტამარა თბილისში ჩამოვიდა და 22 იანვარს ერეკლე II-ს წარუდგა. 24 იანვარს ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ ხელი მოაწერა სარატიფიკაციო სიგელს, 25 იანვარს რუსეთის ერთგულების ფიცით მიიღო, რის შემდეგ ვახტანგ ბატონიშვილმა და პოლკოვნიკმა ტამარამ გაცვალეს სიგელები, ხოლო ივანე ბაგრატიონმა და გარსევან ჭავჭავაძემ გაუცვალეს დამატებითი მუხლები, რაც სამხედრო აღლუმით დასრულდა (ამჟამინდელ აკადემიკალაქის მიდამოებში, სადაც იმ ხანად მწყერზე სანადიროდ დადიოდნენ).

ასე შევიდა სრულყოფილად ძალაში გეორგიევსკის ტრაქტატი.

ვერც ერეკლე II-ს და ვერც ეკატერინე II-ს თვით ტრაქტატის გაფორმებაში წუნს ვერ უშოვი, ხოლო თუ მისმა ცხოვრებაში გამტარებულმა მომდევნო თაობებმა თავის ამბიციების დასაკმაყოფილებლად და უკიდურესი პარტიკულარიზმით მებყობობიდან „ბაჯალლო ოქრო ბიჭუტერიად“ აქციეს, ეს უკვე პირველწყაროს ბრალი სრულებით არ არის.

ჩაუღრმავდეთ მოცემულ საკითხს. ეკატერინე II-მ სავესებით ცალსახად დაავალა (როგორც მას შემდგომში უწოდეს ვიცეკოროლს) გრიგორი პოტიომკინს საქართველოს საკითხის განხილვა როგორც თანასწორ მოკავშირესთან და არა როგორც ქვემდგომთან.

გრაფმა გრიგორი პოტიომკინმა კი, უნდოდა რა კიდევ ერთი შტრიხით ესამოეწინა იმპერატრიცისთვის, ეკატერინე II-ს ტახტზე ასვლის 21 წლის თავზე, 1783 წლის 28 ივნისს ყირიმი რუსეთს შეუერთა. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ამ დღეს ერეკლე II-მ ხელი მოაწერა თავადაზნაურობა სიას.

მხოლოდ ამის შემდეგ გრაფმა პოტიომკინმა, გაინაღდა რა თავის პრიორიტეტები შავ ზღვაზე ყირიმის სტატუსის გასამყარებლად, საქართველოს საკითხის გადაწყვეტა რანგით გაცილებით დაბალ თავის მოგვარეს, გენერალ პავლე პოტიომკინს სანაპიროდან მოშორებით, ჩრდილო-კავკასიის ხალხებით გარემოცულ გეორგიევსკში გადაწყვეტინა.

ამ ქმედების მზაკრობა იმაშიდაც ნათლად ჩანს, როდესაც გრაფი ბეზბოროდკო ეკატერინეს პოტიომკინისადმი გაგზავნილ წერილს, დამატებით თავის „რეკომენდაციებსაც“ ურთავს იმის თაობაზე, რომ საქართველოს მოსახლეობა სინოდზე იყოს მიბმული, რათა შეწყდეს ერეკლესა და ავსტრიის იმპერატორს შორის მიმოწერა. ანუ გრიგორი პოტიომკინმა იოსებ II-საგან წმინდა რომის იმპერიის თავა-

დობა უნდა მიიღოს და იგოგმანოს ზღვაზე, ხოლო ქართველები თუმცა ეკატერინეს მიერ ბევრად შემცირებული საბოძებელი ძველი, მაგრამ მხოლოდ ხმელეთზე მიმოსვლით და როგორც ჩრდილოკავკასიის ხალხებისათვის იყო განკუთვნილი მეფის კარის დაცვით უნდა შემოფარგულიყვნენ.

გარდა ამისა, გრაფი ბეზბოროდკო თავის „რეკომენდაციებში“ მოუწოდებს პოტიომკინს, რომ ყურძენი საფასურად უნდა იქნეს მიღებული, რადგან „ეს გლეხებს ეხებათ“. ანუ სინამდვილეში იგი მშვიდობიანად ყოველი მხრიდან უტევს მეფეს: ერეკლეს მიერ თავადაზნაურობა სიაზე ხელის მოწერა მათ (მეფის სციტას) პრაქტიკულად ყირიმის ზავის დუბლიორებად სახავს, რითაც მეფეს ზევიდან ავსტრიელ მოკავშირესთან ურთიერთობის გზებს უჭრის და ამავდროს ქვემოდანაც მოსახლეობაზე საყრდენს აცლის. ამას თანამედროვე პოლიტიკურ ენაზე გარედან მოხვეული იზოლაციონიზმი ეწოდება.

რა ხდება ამ დროს ვითომდა შორეულ ინდოეთში?

მაისურის ლომად წოდებული ტიპუ სულტანი იბრძვის მმართველის პოზიციიდან ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. ამავდროს მიზნით მოქმედებს მის წინააღმდეგ შეთქმულთა ჯგუფი, რომელთაც წარსინგა რაო უდგას სათავეში. სულტანის უახლოვეს გარემოცვაშია მისი სამხედრო მრჩეველი გაზი ხანი. შეთქმულების იერიშის დღედ დანიშნულია 1783 წლის 24 ივლისი.

აღნიშნული ვითარება აღწერილია ვ. კრამერის ნიშნით „მაისურის ლომი“.

აი, ეს არის იმ უხილავი ქვედინებების ნაღმი, რომელიც თავიდანვე იყო ჩადებული ზღვიდან მოშორებით ხელმოსაწერ რუსულ-ქართულ დოკუმენტში და რომელიც მთელი XIX საუკუნის მანძილზე დროდადრო იჩენდა ხოლმე თავს სხვის გალაპი მოქცეულ ქართულ ეროვნულ სულისკვეთებაში.

აღწერილ ისტორიულ მოვლენებს თუ დაეუმატებთ XX საუკუნის ბოლოს გაყვანილ რუსულ-სომხურ „გაზარდის“ მაგისტრალს, დაინახავთ, თუ როდენ საცოდავად გამოიყურება ჩვენი სამშობლო ამგვარი თვჯინების სპექტაკლში.

ყოველივე ეს მოხდენილად აღინიშნა ჭაბუა ამირჯიბმა რომანში „დათა თუთაშხია“ სანდრო კარიძის სადღეგრძელოში: „...ისტორიულად კაცობრიულ და ეროვნულ ვალდებულებებს დაჩვეული ქართველი კაცი უამოცანოდ დარჩა, მას აღარაფერი მოეთხოვებოდა, სრულიად აღარაფერი. ერი დაემსგავსა საძოვარზე მიშვეებულ ნახირს, რომელსაც მხოლოდ ერთი საქმე აქვს – სძოვოს“.

ვინ ითავა ამგვარი ამოცანის რეანიმირება?

თითქმის მთელი XIX საუკუნის საქართველოს გულისცემაზე თავი მოიყარა ისეთი გამოჩენილი ადამიანის მოღვაწეობაში, როგორიც იყო დიმიტრი ყიფიანი. მისი თავადაზნაურობა წინამძღოლობის დროს განხილვებულ სადგილამდული ბანკის წესდების საკითხი. წარმოდგენილი მეტად პროგრესული პროექტი რუსეთმა უარყო. მიზეზი, მათი თვალთახედვით, სამსაფეხუროვანი ეკონომიკური სისტემის დაწერვა საქართველოსათვის გაჩნდებოდა იყო.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. საქართველოში საადგილმამული ბანკის დაფუძნება მომდინარეობდა რუსეთში ალექსანდრე II-ის მიერ 1857 წელს დაწყებული (და დღემდე განუხორციელებელი) „ზემელნაია რეფორმის“ საფუძველზე. წლების შემდეგ (1881 წელს) თბილისში დასახლდა 1858 წელს დაბადებული ცნობილი ფარმაცევტი ევგენი ზემელი.

დიმიტრი ყიფიანი 1864-ში და 1867 წლებში ორჯერ იქნა არჩეული თავადაზნაურობის წინამძღოლად. მას მარშლის ნოდება მიანიჭეს. მოგვიანებით 1876-1879 წლებში იგი კიდევ ერთხელ ქალაქის თავადაც აირჩიეს. მისი მაღალი ზნე და განათლება მრავალ უცხოთა და ადგილობრივსაც არ აძლევდა ხელს. თვით ილია ჭავჭავაძე ამ ნატიფი პროფესიონალის გვერდით თავს დამხმარე შეგირდად თვლიდა.

პოლიტიკური მოღვაწეობის დასასრულს დიმიტრი ყიფიანი „ორაგულივით აუყვა საქვრითოდ იმ მდინარეს, რომლის სათავეშიც მოაქციეს მისი სამშობლო „დუბლების შემადგენლობაში“. 1886 წლის 27 ოქტომბერს დიმიტრი ყიფიანი „ნებაყოფლობით“ გაემგზავრა გადასახლების ადგილას სტავროპოლში, სადაც ზუსტად ერთი წლის თავზე, 1887 წლის 25 ოქტომბერს (ძველი სტილით), კვირას, დილით 8 საათზე, იგი მოკლული ნახეს თავის ბინაში.

არქიტექტორი

მერაბ აბესაძე

ქართული დიპლომატიის წვლილი

ქართული დიპლომატიის ისტორიის კვლევა უაღრესად აქტუალურია და დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. თუმცა, ქართული ისტორიოგრაფიაში, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში, ამ საკითხების კვლევა გარკვეულწილად მიჩქმალული იყო.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიაში ქართული დიპლომატიის ისტორიის შესწავლის მნიშვნელობა კარგად არის გააზრებული. ამის ნათელი გამოხატულებაა 1994 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის (1997-2004 წლებში) – ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი შექმნა, სადაც მომზადდა და იმავდროულად გამოიცა „ქართული დიპლომატია. წელიწადი“, პირველი ტომი. ამ სამეცნიერო კრებული დაარსება განაპირობა ქართული დიპლომატიის ისტორიის შესწავლის აუცილებლობამ. წელიწადი თავი უნდა მოეყარა სამეცნიერო გამოკვლევებს დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე, საარქივო მასალების პუბლიკაციებს, შესაბამისი პროფილის ნიგნებზე რეცენზიებს და სხვ.

ქართული დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნის ინიციატორი და „ქართული დიპლომატიის წელიწადი“ მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი როინ მეტრეველი გახლდათ. მან შემოიკრიბა დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე მომუშავე ცნობილი მეცნიერები და ახალგაზრდა მკვლევრები, რომელთა ძალისხმევითაც მოკლე ხანში მომზადდა და აკადემიკოს როინ მეტრეველის რედაქტორობით გამოიცა: „ქართული დიპლომატიის წელიწადი“ ორ ტომად (თბ. 1997-1999), „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები“ ორ ნაწილად (თბ., 1998), „ქართული დიპლომატიის ისტორია“ (თბ., 2003), „ქართული დიპლომატიის ისტორია. ქრესტომათია“ (თბ., 2004) და სხვ.

ახლახან, წელიწადის პირველი ტომის გამოცემიდან 30 წლისთავზე, გამოვიდა „ქართული დიპლომატიის წელიწადი“ მე-20 საიუბილეო ტომი (მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი როინ მეტრეველი). აღსანიშნავია, რომ „ქართული დიპლომატიის წელიწადი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა გამოსცემდა, შემდგომში კი მისი გამოცემა „არტანუჯი“ განაგრძო. წელიწადის მე-20 ტომიც გამოცემლობა „არტანუჯი“ (დირექტორი, ისტორიკოსი ბუბა კუდავა) დაიბეჭდა.

წელიწადის მე-20 ტომში წარმოდგენილია რუბრიკები: „საქართველოს ისტორია“, „საქართველოს ეკლესიის ისტორია“, „დიპლომატიის ისტორია“, წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია“, „რეცენზია“. წელიწადი წარმოდგენილია საქართველოს სამეცნიერო წიგნების ფართო სპექტრით: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, სამცხე-ჯავახეთის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის და წმ. თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტები.

წელიწადი იხსნება აკადემიკოს როინ მეტრეველის ნაშრომით „განათლება და კულტურა საქართველოში (1900-1917)“. მასში განხილულია მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებების, მათ შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“, „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“, „ქართველ ხელოვანთა საზო-

გადოების“, „ქართული ფილარმონიული საზოგადოებისა“ და სხვათა ღვაწლი განათლებისა და კულტურის განვითარებაში; სასკოლო განათლების, მეცნიერების სხვადასხვა დარგის, ქართული მწერლობის, თეატრალური ხელოვნების, მუსიკის, მათ შორის ქართული ოპერის, მხატვრობის, პრესის განვითარება. ავტორის დასკვნით, ამ პერიოდში განათლება და კულტურა აღმავლობას განიცდიდა, რაც XIX საუკუნის – მეორე ნახევრიდან მიღებული მეტეკვიდრობითობის გამოვლინებას წარმოადგენდა.

პროფესორ ნიკო ჯავახიშვილის ნაშ-



რომის თემა ბალტიისპირეთის ასახვა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში XVIII საუკუნეში. როგორც ირკვევა, ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის, ბატონიშვილების – ვახუშტი ბაგრატიონისა და ლეონ ბაქარის ძე ბაგრატიონის – სულხან-საბა ორბელიანისა და გაბრიელ გელოვანის სამეცნიერო მეტეკვიდრობაში, გარკვეულწილად, ასახულია ბალტიისპირეთი – ქართული ერის მონიშნავ ნაწილს XVIII საუკუნის პირველ ნახევარში საკმაოდ მკაფიო წარმოდგენა ჰქონდა ბალტიისპირეთის ქვეყნებზე.

დავით IV აღმაშენებლის ახალაღმოჩენილ მონეტაზე გამოსახულ ხუთჯვრიან სიმბოლოს იკვლევს ნინო ჯავახიძე. მკვლევარის დასკვნით, ეს არის კათოლიკური სიმბოლო, რომლის გამოსახვა მონეტაზე უკავშირდება საქართველოს საგარეო სავაჭრო-ეკონომიკურ პოლიტიკაში ახლად წამოჭრილ „ლათინთა საკითხს“ და იგი სიმბოლურად „საქართველოს სამეცნიერო სააგიტაციო საფასე ერთეულს“ წარმოადგენდა.

რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში და ქართულის კონფლიქტის საკითხები განხილულია პროფესორ შოთა ვადაჭკორიას სტატიაში. გარკვეულწილად, ამ საკითხს უკავშირდება საქართველოს ეკლესიის ისტორიის რუბრიკაში წარმოდგენილი პროფესორ ქეთევან პავლიაშვილის უაღრესად საინტერესო სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში მიმდინარე საეკლესიო პროცესებს შეეხება.

დიპლომატიის ისტორიის რუბრიკაში ვეცნობით გამოკვლევებს ქართული და მსოფლიო დიპლომატიის ისტორიის საკითხებზე. რომან გოგოლაურის, ჯემალ კარალიძის, კახაბერ გლოვლის, გელა ცაავას, დავით გეგეჭკორის, გივი ლობჯინიძის სტატიებში განხილულია საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობის საკითხები XIV საუკუნის 80-90-იან წლებში; რუსეთ-ოსმალეთის 1878-1879 წლების ხელშეკრულებები და ახალი გეოპოლიტიკური რეალობის შექმნა კავკასიაში; იმერეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს ურთიერთობა 1784-1790 წლებში; აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობების მთავარი მიმართულებები; ჰენრი კისინჯერის დიპლომატია, მისი როლი ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებაში; საკონსულო საქმიანობისა და სამართლის საწყისების ჩამოყალიბება და განვითარება.

საუნივერსიტეტო დიპლომატიის სამეცნიერო დიპლომატიის ინოვაციური ფორმად გამოყოფს პროფესორი ზურაბ ხონელიძე. იგი კონფლიქტების მოგვარებისა და მდგრადი მშვიდობის მშენებლობის გზაზე აუცილებლად მიიჩნევს უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გამოყენებას.

წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის რუბრიკაში წარმოდგენილი პუბლიკაციები უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული ისტორიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გამდიდრების თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები“ ძვირფასი წყაროა XVIII-XIX სს. საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა შესწავლის თვალსაზრისით. პროფესორების, ვახტანგ გურულისა და გვანცა ბურდულის ნაშრომში წარმოდგენილია „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები“ დაცული დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობები 1799 წლის აპრილიდან 1800 წლის აგვისტოს ჩათვლით, ქართული თარგმანითა და ვრცელი კომენტარებით. ეს დოკუმენტები ნათლად წარმოაჩენს რუსეთის იმპერიის პოლიტიკას ქართლ-კახეთის სამეფოს მიმართ. ამ საკითხის თემატური გაგრძელება პროფესორ ვახტანგ გურულის პუბლიკაცია, რომელშიც წარმოდგენილია „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები“ დაცული დოკუმენტური მასალები ნიახურას (კაკაბეთის) ბრძოლასთან დაკავშირებით, ქართული თარგმანითა და შესაბამისი კომენტარებით.

გოდერძი ვაჭრიძისა და სულხან კუპრაშვილის ნაშრომში განხილულია „კავკასიის კალენდრის“ (1846-1916) წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის და ქუთაისის ვიცე-გუბერნატორ პ. გნინოსაროვის „კავკასიის კალენდარი“ გამოქვეყნებული ნარკვევების მნიშვნელობა XIX საუკუნის პირველი ნახევრის იმერეთის ისტორიის შესწავლისათვის. აღსანიშნავია, რომ პ. გნინოსაროვის ორი ნარკვევი ქართულ ენაზე გ. ვაჭრიძემ და ს. კუპრაშვილმა თარგმნეს.


რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ კავკასიის შესწავლის მიზნით XVIII-XIX სს. უცხოელი მეცნიერების გამოყენებას შეეხება პროფესორ დალი კანდელაკის ნაშრომი. მასში განხილულია იოჰან ანტონ გიულდენშტედტის, ჰაინრიხ თეოდორ ველეს, ჰაინრიხ იულიუს კლაპროტის, აგრეთვე რუსი მეცნიერები, გრაფ აპოლოს მუსინ-პუშკინის ექსპედიციები კავკასიაში. შოტლანდიელი ბოტანიკოსის, ექიმისა და მოგზაურის რობერტ ლაილის ცნობები საქართველოს შესახებ განხილულია პროფესორ გიორგი სოსიაშვილის პუბლიკაციაში. ოთარ ნიკოლეიშვილის სტატია შეეხება ამერიკულ ისტორიულ წყაროებსა და დიპლომატიურ კორესპონდენციებში დაცულ ცნობებს ბათუმის შესახებ, რომლებიც ფრად მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) და ბათუმის ისტორიისათვის. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მდგომარეობასა და მისი განვითარების გზების ძიებას შეეხება პროფესორ მერაბ კალანდაძის პუბლიკაცია.

წელიწადი წარმოდგენილია აკადემიკოს ლია მელიქიშვილის რეცენზია „კავკასიის ისტორიის“ ორტომულზე (მთ. რედაქტორი აკადემიკოსი როინ მეტრეველი, გამომცემლობა „არტანუჯი, თბ., 2023). რეცენზენტი მაღალ შეფასებას აძლევს ნაშრომს და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ აუცილებელია მისი ინგლისურ და რუსულ ენებზე თარგმნა და გამოცემა. ამდენად, „ქართული დიპლომატიის წელიწადი“ მე-20 ტომი მინაარსობრივად მრავალფეროვანია და კარგი შენაძენია ქართული საისტორიო მეცნიერებისთვის.

ბაჰან სორაჰვა

გეგუბი

გამოსაშუბრა გიორგი კეკელიძის ნიგნა „ხვიჩა, ვარსკვლავი, სახელად ვარსკვლავი“



გიორგი კეკელიძის ნიგნი – „ხვიჩა, ვარსკვლავი, სახელად ვარსკვლავი“ – გასულ წელს გამოიცა და პირველივე დღეებიდან დაიკვივდრა ადგილი ბესტსელერის თაროზე.

თითქოს ადრე იყო ნიგნის დაწერა 22 წლის ფეხბურთელზე, რომელიც, მართალია, ამ ნიგნის შექმნის პერიოდში, საოცარ სეზონს ატარებდა, მაგრამ მიუვლი კარიერა მაინც წინ ჰქონდა. თუმცა ეს დამოკიდებულება კითხვის დაწყების პირველივე გვერდიდან საერთოდ ქრება. გიორგი კეკელიძე ხატავს ხვიჩა კვარაცხელიას ერთგვარ პორტრეტს. ავტორი, ხვიჩას განვილი საფეხბურთო გზასთან ერთად, მკითხველს მოუთხრობს ნაკლებად ცნობილ ამბებს ფეხბურთელის ხასიათის, გვარის, ოჯახის, მშობლიური სოფლის, ბავშვობის, პირველ და შემდგომ მწვრთნელებთან, ასევე საფეხბურთო აგენტთან ურთიერთობის შესახებ. ბურთზე ფანატიკურად შეყვარებული პატარა ბიჭი დიდი ხანის მასივის ეზოდან, „ავაზადან“ თუ ნაკიფის მინისფერი მოედნიდან, თითქოს, ნიგნის ფურცლებზე ჩვენ თვალწინ იზრდება და ევროპული ფეხბურთის ვარსკვლავად ყალიბდება.

ცალკე მინდა გამოვიყო თემა „წინაპრები“, სადაც გიორგი კეკელიძე შესაშური თავის ოსტატობით ხატავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მზის ამოსვლის პეიზაჟებს. ის სამეგრელოს აისის დასურათხატებისას აღნიშნავს, რომ ხვიჩა კვარაცხელიას მშობლიურ მხარეში მზე ბურთია, სამეგრელოს დღეს ბურთი ანათებს. ცხადია, მზისა და ბურთის გაიგივება ხვიჩას 2022-2023 წლების ფანტასტიკური ნეაპოლური სეზონის გამოძახილია. ნაკიფიდან ამოსულმა მზე-ბურთმა გაანათა არამხოლოდ საქართველო, არამედ ევროპული გრანდების საფეხბურთო მოედნები.

მართალია, გიორგი კეკელიძის ნიგნის მთავარი გმირი ხვიჩა კვარაცხელიაა, თუმცა ეს ნიგნი არ არის მხოლოდ ხვიჩას შესახებ. მასში გადმოცემულია ფეხბურთის ჯადოსნურობის, სილამაზისა და ძალის ავტორისეული ხედვა. კეკელიძე საუბრობს ფეხბურთის დანიშნულებაზე ადამიანის, საზოგადოებისა და ქვეყნის ცხოვრებაში. ის განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს, რა ფუნქცია ჰქონდა ფეხბურთს იმპერიის მიერ დაპყრობილი საქართველოსთვის და ასევე რა როლის შესრულება შეუძლია სპორტის ამ სახეობას, მათ შორის ხვიჩა კვარაცხელიას წარმატებებს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

ამასთან, გიორგი კეკელიძე ჰყვება, რა სირთულეების გადალახვა უნდადა გულშემატკივრებს ჯერ საბჭოთა, შემდეგ კი პოსტსაბჭოთა საქართველოში (მათ შორის, მასაც), რათა უცხოური ფეხბურთი ეხილათ. უამრავი ადამიანი გადიოდა ათასობით კილომეტრს სსრკ-ის უკიდურეს დასავლეთით (უკრაინის ქალაქ უჟჰოროდისაკენ) ანდა დადიოდა ანტიტენი თბილისიდან თეთრიწყაროს მიმართულებით და თურქულენოვან სიხშირეებს ეძებდა. ეს ის ხალხია, რომელმაც ზუსტად იცოდა, რა სიხარულის მოტანა შეუძლია ფეხბურთს (გნებათ, მზებურთს). მათ უდიდეს ნაწილს ჰქონდა 1981 წლის 13 მაისის ბედნიერების განცდის პატივი. ამდენად, ამ ნიგნის ნაკითხვა, ხვიჩა კვარაცხელიას პორტრეტის გაცნობასთან ერთად, ფეხბურთის გულშემატკივრებს გაუცოცხლებს თავიანთი ბავშვობის, მოზარდობის, ახალგაზრდობის წლებს.

ასევე მინდა ხაზი გავუსვა „ხვიჩა, ვარსკვლავი, სახელად ვარსკვლავის“ წინასიტყვაობის კლასს, თუმცა ეს არ გამოკვირდება მას შემდეგ, რაც ტექსტის ბოლოს ავტორად აკა მორჩილაძე ამოვიკითხე.

დაბოლოს, მადლობა გიორგი კეკელიძეს ფეხბურთთან დაკავშირებული ბავშვობის ემოციების გახსენებისთვის და, თავისთავად, მადლობა ხვიჩა კვარაცხელიას, რადგან მისმა თამაშმა სამყაროს თავიდან აღმოაჩინა საქართველოს, როგორც მივიწყებული საფეხბურთო ქვეყნის, არსებობა და ასევე უამრავი ქართველი დაბრუნა ტელეეკრანთან ან, საერთოდაც, დააწყებინა ფეხბურთის ყურება.

ირაკლი როგაძე

ბურაბ ხიფიაშვილი (მუსტაფა იაკოთი)

ჰაიათი ასილიაზიჯი – თურქეთში მუსიკისა და თეატრალური ხელოვნების დარგის ცნობილი კრიტიკოსი – 92 წლისაა. თვალის-ჩინი დაუკარგავს, მაგრამ ჭკუა კარგად უჭრის. 50-60 წლის წინანდელი ამბებისა და ნაცნობების გახსენება დაწვრილებით შეუძლია. იგი ქართული წარმოშობისაა, ლაზურ-მეგრული ფესვები აქვს.

1977-1980 წწ ათეუნი კოტილის მერობის დროს პ. ასილიაზიჯი სტამბოლის მუნიციპალიტეტის ქალაქის თეატრების გენერალური სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. მისი და ათეუნი კოტილის დამსახურება სტამბოლის ერთ-ერთი რაიონის, ჰარბიუს თეატრისათვის „მუჰსინ ერთურულის თეატრის“ სახელის დარქმევა.

ცხოვრების განმავლობაში ჰაიათი ასილიაზიჯი მრავალი სხვადასხვა ჯილდო და იმსახურა. ჩვენთვის უფრო საგულისხმოა, რომ იგი იკვლევდა და დაინტერესებული იყო პოლონური და მრავალეროვანი საბჭოთა თეატრით. 1973 წელს პოლონეთის კულტურის სამინისტრომ დააჯილდოვა ჰაიათი ასილიაზიჯი, როგორც პოლონური თეატრის მცოდნე საუკეთესო უცხოელი კრიტიკოსი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წლებში, მოგესხენებათ, საბჭოეთთან წარმოებული ცივი ომის პერიოდი შედარებით დათბა. 1967 წელს ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე თურქეთიდან საბჭოეთში მწერალთა კამპიის მიერ მიწვეულ იქნენ მწერლები: აზიზ ნესინი, იამარ ქემალი, ნეჯათ უსთუნი, მელოზ ჯევედეთ ანდაი და თეატრმცოდნე ჰაიათი ასილიაზიჯი.

რადგან საქართველო „თეატრის ქვეყანა“ ითვლებოდა და თანაც ჩვენი სტუმარი ქართული (მეგრულ-ლაზური) წარმოშობისა გახლდათ, იგი თბილისში მიიპატიჟეს, სადაც მან გაიცნო ცნობილი პიროვნებები: თურქოლოგი, პროფესორი ოთარ გიგინეიშვილი, რეჟისორები: არჩილ ჩხარტიშვილი, დორიან კიტია, რობერტ სტურუა, მსახიობი სერგო ზაქარაიძე, მწერალი ნოდარ დუმბაძე, კომპოზიტორი გაია ყანგელი.

ოთარ გიგინეიშვილს პ. ასილიაზიჯი მიჰყავს სამეგრელოში, კერძოდ ზუგდიდში, სადაც ეცნობა მეგრულ, ლაზურ, ქართულ სიმღერებს, გუნდებს, ცეკვებს. თურქეთში დაბრუნებისას იგი ამ მოგონებებს დაწვრილებით აღწერს წერილში, რომელსაც აქვეყნებს ჟურნალში „MAY“. სტატიას ამთავრებს სიტყვებით: „დიდი მადლობა ზუგდიდს!“

პ. ასილიაზიჯის აზრით, ქართული ლიტერატურა, მუსიკა და თეატრი ერთი მთლიანობაა. აი, რას წერს იგი: „მიხარია, რომ საქართველოს ხელოვნებას მსოფლიოში პატივსაცემი ადგილი უკავია. რუსეთში შევტყვევებ, რომ საქართველო თეატრის სამშობლოდ ითვლება. რობერტ სტურუას მიერ „მეფე ლირის“ ინტერპრეტაცია ფრიად განსხვავებულია, ძალიან შთამბეჭდავი და დამსახურებულ ინტერესს იწვევს მსოფლიოს მასშტაბით. ისიც სრული სიმართლეა, რომ „კავკასიური ცარცის წრის“ სტურუასეული სცენოგრაფია, ზოგი კრიტიკოსის აზრით, ბრეტისაზე ბევრად წარმატებულია.“

ცნობილი და მაშინ უკვე მცოვანი მსახიობი ჯუნეით გოჭერი არის ანკარის ბილქენ-თის უნივერსიტეტში თეატრალური განყოფილების დამაარსებელი. 1996 წელს მისივე თაოსნობით პირველად თურქეთში გაიხსნა თეატრალური რეჟისურის მიმართულება. მსოფლიოში ცნობილმა რეჟისორმა რობერტ სტურუამ ჩაატარა აქ პირველი მისაღები გამოცდები და ლექციების წასაკითხად მისი დასტურით საქართველოდან დაიწყო რეჟისორების გამოგზავნა. თარგმანის საშუალებით განხორციელებულმა სწავლებამ 15 წელზე მეტი გასტანა. ჰაიათი ასილიაზიჯი პირადად გაეცნო თურქოლოგ ნანა კაჭარავას, რომელმაც სასწავლო პროცესის პირველივე წელს რეჟისორსა და სტუდენტებს შორის შუამავლის, ანუ თარგმანის, როლი იტვირთა. პ. ასილიაზიჯი დიდად კმაყოფილი დარჩენილა ქართველი რეჟისორებისა და თურქოლოგების მუშაობით.

1 წერილი დაიბეჭდა თურქულ ყოველთვიურ ლიტერატურულ ჟურნალ „ჰუმანისის“ (insancil) 2023 წლის ნოემბრის თვის ნომერში, სტამბოლი, ISSN 1300-4158.

თურქოლოგია საქართველოში: სერგი ჯიქია და ჰაიათი ასილიაზიჯი

საქართველოში თურქოლოგიის XX საუკუნის მეორე მეოთხედში ჩაეყარა საფუძველი. იგი აღმოცენებულია სტამბოლის უნივერსიტეტის თურქოლოგიისა და საბჭოთა თურქოლოგიის გამოცდილებებზე, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პეტერბურგის ორიენტალისტიკის სკოლამ.

აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ 1927-1929 წლები გაატარა სტამბოლის უნივერსიტეტში, ხოლო 1929-1936 წწ. – პეტერბურგის უნივერსიტეტში. ამ პერიოდში დაგროვილი გამოცდილება მან გამოიყენა საქართველოში თურქოლოგიის დარგის დასაარსებლად. ის ფაქტი, რომ იგი მოესწრო თავის ქვეყანაში ოთხ განსხვავებულ რეჟიმს – მეფის რუსეთის, საქართველოს დამოუკიდებლობის (სამწლიანს), საბჭოთა ხელისუფლების და საქართველოს დამოუკიდებლობისას – მნიშვნელოვანს ხდის ს. ჯიქიას ბიობიბლიოგრაფიას.



სერგი ჯიქია დაიბადა 1898 წელს საქართველოს სამეგრელოს რაიონში. მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბერძნისმეტყველების ფაკულტეტი. 1927 წელს გაემგზავრა თურქეთში, სადაც სტამბოლის უნივერსიტეტში ორი წლის განმავლობაში ისმენდა ისეთი ენათმეცნიერების ლექციებს, როგორებიც იყვნენ ფუათ ქოფრულუ, ალი ექრემი, ჰულუსი ბეი, ორჰან შაიქ გიოქაი. მას განსაკუთრებით უყვარდა ფუათ ქოფრულუ, რომლის ლექციების კონსპექტს განუმორებლად ჩანთით ატარებდა. სტამბოლში ყოფნისას ს. ჯიქიამ არქივებში ისტორიულ წყაროებზეც იმუშავა. თურქეთში დაწყებული კვლევითი სამუშაოები მან 1929-1936 წლებში რუსეთის თურქოლოგიურ წრეებში განაგრძო. 1936 წელს კი დაბრუნდა სამშობლოში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ხელმძღვანელად დაინიშნა.

სერგი ჯიქია იყო პირველი პროფესორი, რომელმაც თბილისის უნივერსიტეტში ნაიკითხა ლექციები თურქულ ენაში. 1945-1953 წწ. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი გახლდათ, ხოლო 1960 წლიდან ვიდრე გარდაცვალებამდე, 1993 წლამდე, აკად. გ.წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში თურქოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად იმუშავა. 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი სერგი ჯიქია მრავალი ჯილდოს მფლობელია. მისი კვლევის სფეროს შეადგენდა თურქული ფილოლოგია, თურქულ ენათა დიალექტოლოგია, თურქული ენის ისტორია, თურქულ-ქართული ენობრივი ურთიერთობები და თურქული ენის აღმოსავლეთ ანატოლიური და აზერბაიჯანული კილოები. ცნობილი მოგზაურის, ევლია ჩელევის „მოგზაურობის წიგნი“ სერგი ჯიქიამ დაამუშავა ქართულ, მეგრულ და ლაზურ ენებზე მოცემული ტექსტები. მას ეკუთვნის 1595 წლით დათარიღებული „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ გამოცემა, რომელიც გამოქვეყნებულია სამ წინადად დადგენილი ტექსტით, ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით. გარდა ამისა, იგი მუშაობდა ლაზურ-ქართულ ენობრივ ურთიერთობებზე. აზერბაიჯანული სკოლებისათვის მოამზადა ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელო,

რომელსაც დაურთო ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი. მანვე შეადგინა საკითხავი წიგნი თურქულ ენაში, რომელიც გამოიცა თბილისსა და პეტერბურგში.

ბატონი სერგი ჯიქიას სახელი მიენიჭა ერთ-ერთ ქუჩას თბილისში. არსებობს ია დუღუჩავას მომზადებული წიგნი „სერგი ჯიქია. ბიობიბლიოგრაფია“. ეს წიგნი თურქულად თარგმნა და თურქეთში გამოსცა ილიას უსთუნიერმა.

საქართველოში სერგი ჯიქიას მიერ თურქოლოგიის დარგის დაფუძნებითა და აქ აღზრდილი თურქოლოგების ნაშრომების წყალობით 1940 წლიდან მოყოლებული ქართველი მკითხველი ეცნობა ისეთ ცნობილ თურქ მწერლებს, როგორებიც არიან ნაზიმ ჰიქმეთი, იამარ ქემალი, ომერ სეიფეთინი, სუათ დერვიში, აზიზ ნესინი, ფაქირ ბაიქურთი, ორჰან ფამუქი და მრავალი სხვა.

2023 წლის 20 ოქტომბერს თბილისში აღინიშნა სერგი ჯიქიას დაბადებიდან 125 წლისთავი. ჩვენი სტატიის გმირს, თეატრმცოდნესა და კრიტიკოსს ჰაიათი ასილიაზიჯის ბატონი სერგი 1967 წელს გაუცვინია. მაშინ ბატონი სერგი 65 წლისა ყოფილა. სტუმარსა და მასპინძელს შორის გულთბილი მეგობრული საუბარი შემდგარა. სერგი ჯიქიამ მოუთხრო პ. ასილიაზიჯის თურქოლოგიის დარგის დაარსებისა და მისი ისტორიის შესახებ. ამასობაში საუბარი პირად თემებსაც შეეხო. ბატონმა სერგიმ ასხენა თავისი ქალიშვილი მარიკა (იმ ხანად 21 წლისა ყოფილა), რომელიც ბავშვობიდან მუსიკით იყო გატაცებული. მამას კმაყოფილება ვერ დაუმალავს იმის გამო, რომ მუსიკალურ განათლებასთან ერთად მარიკამ თურქოლოგიური განათლებაც მიიღო და წარმატებული თურქოლოგი დადგა.

დღეს კი ქალბატონი მარიკა ჯიქია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრის გამგე გახლავთ. თანამედროვეობის თვალთა თუ გადავხედოთ, საქართველოში თურქული ენა, ლიტერატურა და ისტორია სერიოზულ დონეზე ისწავლება, მაგრამ ამ საფეხურზე ასვლა არ ყოფილა ადვილი. თავდაპირველად ქართველი ენათმეცნიერები ოსმალურსა და თურქულ ენებს საკუთარი ძალისხმევით, მხოლოდ წიგნების საშუალებით სწავლობდნენ.

2023 წლის მაისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წავიკითხე მოხსენება „ქართული ლიტერატურა თურქულად“. სწორედ მაშინ მომეცა საშუალება ვწვეოდი თურქოლოგიის კათედრას და პირადად გამეცნო თურქოლოგიის კათედრის გამგე და დანარჩენი წევრებიც. ჩემ მიმართ გამოჩენილი სტუმართმოყვარეობისა და ყურადღებისათვის მათ უღრმეს მადლობას მოვასხენებ.

მსურს გავიხსენო გასული საუკუნის მიწურულის ამბებიც. 1987 წლის ოქტომბერში საქართველოში აღინიშნა ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლის იუბილე, რომელზეც სხვადასხვა ქვეყნიდან მიწვეული იყო 200-ზე მეტი მეტი მწერალი, ინტელექტუალი თუ ხელოვანი. თურქეთიდან დაპატიჟებული იყვნენ პროფ. თაჰსინ სარაჩი, მწერალი ფაქირ ბაიქურთი, თეატრმცოდნეები აზიზ ჩალიმლარი და ჰაიათი ასილიაზიჯი, ჟურნალ „ჩვენებურის“ რედაქტორი ოსმან ნური მერჯანი (ოთარ იმედაშვილი) და ჟურნალის თანამშრომლები: აბდურაჰმან ჩეთინქაია (ილია ხიმშიაშვილი), ჰაირი ჰაირიოღლუ (ვახტანგ მალაყმაძე) და მე – თქვენი მონა-მორჩილი, რომელმაც ჩამოსვლა ვერ მოვახერხე.

გთავაზობთ ნაწყვეტს ჰაიათი ასილიაზიჯის წიგნიდან, რომელშიც იგი იხსენებს 1987 წლის საქართველოში მოგზაურობას:

„აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილებაში ვართ. დიდ ოთახში გრძელ მაგიდას ვუსუბედვართ და რიგრიგობით ვინერ თურქოლოგების სახელებს: გალინა თუმშალიშვილი, ლია ჩლაიძე, ლუიზა რუხაძე, გიორგი მაყულაშვილი, ვიქტორ ჩიკვაიძე, ვენერა ჯანგიძე, ეთერ მამულია, მაკა შონია, ლალი გელაშვილი, მზია გურგენიძე, ელიზბარ ჯავახიძე, მალვა გაბუკიარია, მორენა კობაღიანი, აიგულ ცალქელამანიძე, ნუნუ გურგენიძე, ცისანა ახალაძე, ივანე შერვაშიძე, ქეთევან ტომარაძე, ნოდარ შენგელია, მაია მიმინოვილი, ელიკო ჯავახიძე.“



ესენი გახლავთ ამ განყოფილების ძირითადი საკადრო შემადგენლობა, რომელთა შრომები მოიცავს თურქოლოგიის თითქმის ყველა სფეროს. ასეთ ძლიერ სამეცნიერო გუნდთან შეხვედრამ ფრიალ გაგვახარა.

პროფ. ელიზბარ ჯავახიძის ნაშრომებიდან იუნუს ემრესა და რუჰი ბალდადის შესახებ დაწერილი წიგნები უნდა ვახსენო. ვფურცლავ ამ წიგნებს და თემების ამოკითხვას ცვდილობ. რადგან კითხვა მიჭირს, გვერდით მსხდომნი მეხმარებიან. ჩემს ყურადღებას იპყრობს გიორგი მაყულაშვილის ნარკვევი მე-18 ს-ის პოეტ საიათონუას აზერბაიჯანულად დაწერილი ლექსების შესახებ. მასვე ეკუთვნის ომერ სეიფეთინის რჩეული მოთხრობების თარგმანი. ლია ჩლაიძის თარგმნილი ჰალდუნ თანერის მოთხრობების კრებული „თორმეტს აკლია ხუთი წუთი“ 1972 წელს დაბეჭდილა. ახლა გამოდის ამ წიგნის მეორე გამოცემა. მასვე ეკუთვნის ამავე მწერლის პიესის „ქეშანელი ალის“ თარგმანი. ლია ჩლაიძისა აგრეთვე ნარკვევები ოლუზნამესა და ქოროლის შესახებ. მაგიდაზე გამოიღო წიგნებს შორისაა გურამ ბათიაშვილის მიერ თარგმნილი ნაზიმ ჰიქმეთის რომანი „ცხოვრება მშვენიერია, ძმაო!“ ვენერა ჯანგიძე მუშაობს თურქული ენის დიალექტებში შესულ ქართულ ნასესხობებზე. მასალა, რომელიც ხელთ აქვს, საკმარისი არაა. პრობლემა ისაა, რომ კარგა ხანია, ვერ სარგებლობენ მოსკოვის ლენინის სახელობის ბიბლიოთეკით. ეს ბიბლიოთეკა დაკეტილი ყოფილა რემონტზე, რომელიც, როგორც ამბობენ, რამდენიმე წელს გასტანს. ქალბატონი ვ. ჯანგიძე კვლევით სამუშაოებს თავის დადის მოსკოვში, ლენინგრადში, ბაქოსა და ტაშკენტში. რატომ არ უნდა შეეძლოს ჩამოსვლა თურქეთში?!

კიდევ ინსტიტუტი თურმე უშვებს ალმანახს, რომელიც ახლო აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების მწერლებს ეხება. 1972-1982 წწ-ის პერიოდი უკვე დასრულებულია. ელიზბარ ჯავახიძემ და გიორგი მაყულაშვილმა გამოკვლევა-ნაშრომი „წიგნი დედე ქორქუთის შესახებ.“ ელენე ჯავახიძე იკვლევს ჯენაბი შაჰადეთინის, იაჰია ქემალისა და აჰმეთ შაჰიმის პოეზიას. მაკა შონია მუშაობს თურქული ლიტერატურის XVII-XVIII სს-ის პერიოდზე.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შერობიდან რომ გავედინოდი, შემოსასვლელ კარში პროფ. სერგი ჯიქიას შეხვდით. სულ არ შეცვლილა, მაშინვე ვიცანი. სიგარეტს გემრიელად აბოლებდა და ყოჩაღად მოაბიჯებდა. რადგან საერთო სხდომაზე არ იმყოფებოდა, მას ცალკე უნდა შეხვედროდი. სწორედ ამ დღეებში ს. ჯიქიას 85 წელი უსრულდება, კოლეგები და მონაფეხები ემზადებიან ამ თარიღის აღსანიშნად. ოცი წლის შემდეგ ამ საყვარელი „მოხუცის“ ნახვარა მშვენიერი დამთხვევაა! მისი საკითხავი წიგნის ორტომეული თურქოლოგიის მიმართულების უცვლელი სახელმძღვანელოა. ჩვენ ორივეს, კავკასიის ერთი და იმავე რეგიონის შვილებს, „ნათესაობაც“ გვაკავშირებდა. კვლავ ამ თემებზე ვისაუბრებდით, იგი მომიყვებოდა თურქეთისა და თურქული ენის შესახებ, მე ჩემსას ვკითხვებ. ამ ფიქრებში ვიყავი და მეგობრებთან ერთად ავედი მის განყოფილებაში. 85 წლის განმავლობაში პირველად სურდო შეჰყვია და თანაც ცუდი ამინდის გამო, თურქოლოგიის განყოფილების საერთო შეხვედრაზე ამიტომ ვერ მოსულა.

თურქოლოგიის მეორე განყოფილება როგორც ზემოთ აღვნიშნე, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილებიდან ნაშრომით და ამჯერად

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ფაკულტეტის თურქოლოგიის კათედრის ვენეციე. პროფ. ნოდარ ჯანაშიას ხელმძღვანელობით თურქოლოგთა ძლიერი გუნდი აქცა აქტიურ მოღვაწეობას ენევა. კათედრას ჰყავს სამი დოცენტი, ასპირანტები, ლექტორები და ლაბორანტები. უკლებლივ ყველა საუბრობს თურქულად. დოცენტები: ედიშერ სარიშვილი, ირინე გოცირიძე და ნანა ჯანაშია; ლექტორები: მურმან ბელთაძე, ელიდა კვანტალიანი, ქეთევან ლორთქიფანიძე, გულიზარ ჭელიძე. ეს უკანასკნელი თურქული წარმოშობისაა, მეუღლე კი ქართველი ჰყოლია. ლაბორანტები: დარეჯან პაპუაშვილი და მარინა ყუშიტაშვილი. პროფ. ნოდარ ჯანაშიას წიგნი „თურქული ზმნის ცხრილები და პარადიგმები“ 1987 წელს გამოსულიყო, ხოლო უფრო ადრე კი დაბეჭდილია მისი მონოგრაფია „თურქული ზმნის მორფოლოგია.“ ამ კათედრის მთავარი გასაჭირი თურქულ ენაზე წიგნების სიმცირე გახლავთ. ამას გარდა, თურქეთში წასვლის შესაძლებლობა პრაქტიკულად არ არსებობს. მხოლოდ ტურისტად ჩამოსვლა მათთვის, რასაკვირველია, საკმარისი არ არის.

ახალი თურქული ლიტერატურის სპეციალისტი დოც. ირინე გოცირიძე აქტიურად მუშაობს რომანებზე, რომლებშიც სოფელი და მისი ცხოვრება, მისი ესთეტიკა აღწერილი. მასალა, რომელიც მას ხელთ აქვს, მწირია. ფაქირ ბაიქურთის რომანები: „ირაზჯას ცხოვრება“, „ეფქარის მთა“, „მეათე სოფელი“, „გველთა შურისძიება“. იაშარ ქემალის რომანები „ინჯე მემედი“ და „უკვდავების ბალახი“ წიგნების თაროზე შევნიშნე. თვით ფაქირ ბაიქურთი თავის დანარჩენი რომანების გამოგზავნას შეჰპირებია ქალბატონ ირინეს. მაგრამ რადგანაც მწერალი დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობს, წიგნების მონოდების პროცესი დროში საკმაოდ განელიდა. იაშარ ქემალისა და სხვა თურქ მწერალთა რჩეული ნაწარმოებებით თურქოლოგიის კათედრის უზრუნველყოფა კი მე ვიტვიტო.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თევფიქ მელიქოვმა თარგმნა და მოსკოვში გამომცემლობა „რადუგამ“ გამოსცა იაშარ ქემალის ოთხი რომანი: „არარატის მთის ლეგენდა“, „თუ გველს მოკლავენ“, „ჩაქირჯაელი ეფე“, „ფურ-ირემი“ და მოთხრობების კრებული. ინტერესი იაშარ ქემალის მიმართ სულ უფრო და უფრო მატულობს. დოც. ირინე გოცირიძე მეუბნება: „დიდი ყურადღებით ვეცნობი მის რომანებს, ლექსებს, მითებსა თუ სინამდვილეს. მას სულ სხვაგვარი თხრობის მანერა აქვს.“ საქართველოში „ინჯე მემედის“ პირველი და მეორე ტომი გამოქვეყნებულია, მესამეც მზადაა და 1988 წლის დასაწყისისათვის დაიბეჭდება.

ისევე როგორც საქართველოში, სსრკ-ის სხვა რესპუბ-

ლიკებშიც არიან რეჟისორები, რომელთაც თურქი დრამატურგების პიესების გაცოცხლება სურთ სცენაზე. პროფ. ოთარ გიგინეიშვილთან და მოგვიანებით მოსკოვში რობერტ სტურუასთან ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რომელი პიესების თარგმნა და დადგმა იქნებოდა შესაძლებელი. მე შევეცადე დამეხატა მათთვის თურქ დრამატურგთა ფართო პანიორამა და გამომეყო ის პიესები, რომელთა გასცენიურება მათ უფრო დაინტერესებდათ. მოსკოვის ამ მოგზაურობაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო თეატრების გენერალური დირექტორი და სხვა რეჟისორები. დაინტერესებულ პირებს წარვუდგინე თურქი დრამატურგების სამოცამდე პიესა. ბუნებრივია, აქედან შეირჩევა ათამდე ნაწარმოები, რომელიც ითარგმნება და შევა საბჭოთა თეატრების რეპერტუარში. პიესების გაცნობისას რობერტ სტურუა, მაგალითად, დაინტერესდა იაშარ ქემალის ნაწარმოებებით: „თუნუქი“, „მინა რკინისა, ცა - სპილენძისა“. მაქსიმალურად ვეცადე, გამეცნო რეჟისორებისათვის ყველა პიესა, რომელიც კი ვიცოდი, რათა მათ შეერჩევის ფართო საშუალება ჰქონოდათ...

რობერტ სტურუას მოვუყვიე, თუ როგორ იბრძვის არსებობისათვის ჩუქურთვას ზეგნის მოსახლეობა და ეს ნაჩვენებია მწერალ იაშარ ქემალთან ელფგისა თუ დატირების ფორმით; ძირითადად ფოლკლორზე აღმოცენებული ეს ნაწარმოებები შესანიშნავი მასალაა საოპერო და საბალეტო სპექტაკლებისათვის. რ. სტურუა გახლავთ თეატრის რეჟისორი, რომელიც დაინტერესებულია როგორც თეატრით, ასევე ოპერით. რადგან მე მას კარგად ვიცნობდი, მივხვდი, რომ ფრიად დადებითად განეწყო ამ მწერლის მიმართ.

საყურადღებოა ისიც, რომ ჰაიათი ასილიაზიჯი იყო აჰმეთ ოზქან მელაშვილის უახლოესი მეგობარი. ასილიაზიჯის დაარსებულმა გამომცემლობა „სინანმა“ დასტამბა აჰმეთ ოზქანის მიერ თარგმნილი ცნობილი ქართველი მწერლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ისტორიული რომანი „ელგუჯა და მზალი“. წიგნი გამოიცა 1973 წელს, მაშინ, როცა თურქულ ენაზე ქართული კულტურის შესახებ ჯერ კიდევ ძალიან მწირი ინფორმაცია არსებობდა. ეს ძალისხმევა და მისი წვლილი უფრონაღ „ჩვენებურის“ გამოცემაში არასოდეს მიეცემა დავიწყებას. ჰაიათი ასილიაზიჯი ახლა 92 წლისაა... იგი მოკითხვას უთვლის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრის გამგეს, პროფ. მარიკა ჯიქიას და აქედანვე ულოცავს მამამისის, სერგი ჯიქიას დაბადებიდან 125 წლის იუბილეს. „გამარჯვება ქართულ თურქოლოგიას!“ - გვითვლის იგი...

თურქულიდან თარგმნა ნანა კაჭარავამ

ზურაბ მამულაშვილი

რად გინდა ოქრო, რად გინდა ვერცხლი, თითზე და მზეზე ელაგ-ბრწყინავდეს, როცა იმ ქვეყნად არვინ გაგატანს და წაგაძრობენ მაინც იმავ დღეს.

თავიდან ლექსით დავიწყე, მერე დავწერე სონეტი, პროზაში რომ გადავდი, თავზე დამეცნენ ტოლები. რას შერები? რას აკეთებო, ცოტა იფიქრე გონებით, ეგრე არ არი, ძამიკო, ყველგან რომ გაგაქვს გოლები. ერთი გზით ნადი, ვილაცას მთლად გიფი ნუ ეგონები, იქნებ შენ თავზეც იფიქრო, წერას ნუ დაემოხები. რა გინდათ, რა გამიხურეთ, ამ ქვეყნად მიტომ მოვედი, მეც მინდა ვიყო ცნობილი, ვორონცოველი პოეტი.

ის კი არა მწყინს, ხანდახან, სახლში წვიმა რომ ჩამომდის, ან, ლამაზ ქალთან ნანატრი პაემანი არ გამოდის, ბედნიერი ვარ მე იმ დღეს კარგი ლექსი რომ გამომდის.

გამთიბილს

გაჩერებასთან ვიდექი, გადაღლილი და თან სველი, ვილაცას ვეგონებოდი, მოგზაური ან მთამსვლელი, ზოგჯერ უსულო საგნები ჩემში ინევენენ ზენოლას და ვიტრინაში დადგმული კაცი ნამდვილი მეგონა. გამტერებული ვიდექი, ვილაცა მომიახლოვდა, არ ვიცი, მეხუმრებოდა თუ სპეციალურად ნაგობოდა. თვალბრუნებულ ხელი ამიკრა, რამდენჯერ დაანახლოვდა, ვიტრინაში რომ დავლანდე, სწორედ ის კაცი გამოდგა. მერე, რა მოხდა, ვერ გეტყვით, ბინდი ამეკრა თვალბრუნებულ, ცოტა ხნის შემდეგ გავიგე კაკუნი სახლის კარებზე.

მეც რაზბრუნებობი...

გადაიარა წლებმა ქარიშხლის, თოვდა და წვიმდა, წვიმდა და თოვდა, სად გაქრა წლები დღესაც არ ვიცი, ვის რასა ვთხოვდი, ვინ რასა მთხოვდა. კარგია, როცა ვიყავი ერთ დროს, თუმცა ტკბილ-მწარე ცხოვრება მქონდა, მხოლოდ ერთი რამ მითხარი ღმერთო,

ელისო ქიტიაშვილი

ჩვენ გვივის რწმენა

გულში ანთებულ ცეცხლს გაუმარჯოს, ცეცხლს, სიყვარულისმიერს, რჯულით აღნთებულს, მწველს და უმანკოს, ძლევს სიტყვას, გულისხმიერს.

ცეცხლი იფრქვევა წმიდა და სუფთა, როდა დარეკავს ზარი, ჩვენ გვივის რწმენა, მწკრივად ჩაუთქვათ, ლოცვად აღნთება გვენადის.

გვაშოროს, დავგმოთ ცეცხლი ომისა, ცეცხლი ხოცვის და ჟლეტის, აქ ბოროტს არ ვცნობთ ძენი შრომისა, ვერც გვინდომია ბნელი.

გულში ანთებულ ცეცხლს გაუმარჯოს, ცეცხლს სიყვარულისმიერს, სურვილს, ჩადებულს მწედ, გაუნართლოს ერს, წმიდას, სულთი ძლიერს.

ნუთუ იმ ქვეყნად სუყველა ცხონდა? მუდმივ სიკვდილსაც გადავურჩები, რადგან სიცოცხლე მიდის და მოდის, იმედი მაქვს, რომ მეც დავბრუნდები, მაგრამ არ ვიცი, რისთვის და როდის.

ველარ ვიტან ლამეს, და ველარ ვიტან ლოგინს, გულიც უკვე გაბეზრდა, სევდით სხვათაშორის. როცა წლები ქარმაგი დრო-ჟამს გადაწონის, მართლაც ძნელი ყოფილა, სიბერე რომ მოდის.

ჩამოგიქროლებ მარტის ქარივით, ჰაერში გავშლი მაგ შენ დალალებს, მინდორში დაგსვავ პატარაძალივით, ირგვლივ დაგიყრი ოქროს ვარსკვლავებს. მსურს, პოეზიის მადლით აგავსო, ყველა ლექსს გეტყვი, რაც კი მასწავლეს, მაინტერესებს, ჩემო ლამაზო, ამდენი ხანი რისთვის მანვალებ?!
ამ წუთისოფლის გზაზედა დარდით და ბოლმით რა ივლის, სიხარული თუ გენვია ისიც ერთ წამში გაივლის.

ამ წუთისოფლის გზაზედა

სანამ ფიქრი და ოცნება ტანს იმედებში აიყრის, მანამდე ჩვენი სიცოცხლე ნაკადულივით ჩაივლის.

რგან იყოღნის

არის რალაცა, რასაც ვერა ცვლი, თუმცა, სანამ ხარ, უნდა ეცადო, ქვეყნად სიცოცხლეს მიტომ შენატრი, ადრე არავის გარდაეცვალო.

როცა მზე ჩადის, გული სხვაფერობს, სიცოცხლეს უნდა მეტი ხალისი, რალაც სხვა სიომ უნდა დაბეროს, რომ გაგიფანტოს სევდა დაისის.

თუ გულს კვლავ დარდი შემოესია, ვერ გადარჩები სხვის მონოდებით, ეს ხმალი ჩვენი ერეკლესია, რომლის წყალობით დღემდე მოვედით.

დავიწყებაა, კაცს რომ გაოცებს, კიდევ არ ჯერათ უფლის სიტყვების, დგას ეკლესია სასაფლაოზე, იმედად ჩვენი გარდაცვლილების.



მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მატარაძე**
ფინანსური მენეჯერი **ქატიკა დამატარაძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **პალა გველესიანი, მზია პარპაძე**
დინამიკური-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **პოლდემარ ჰანსკი**

„ლიტერატურული საქართველოს“
საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი,
GE43BG000000161665862

გაზეთი გაზეთის 2 კვირეული პირობა
დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი:
თბილისი, თევდორე მღვდლის 57
ISSN 2720-8540
9 772720 854003